პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

... ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: ... რა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ...

ფასი 10,000 მან. პროვინციაში 12,000 მან.

№ 119 — კვირა, 28 მაისი 1922 წ. — ყოველდღიური გაზეთი — კვირა, 28 მაისი 1922 წ. — № 119

ორშაბათს, 29 მაისს საღამოს 5 საათზე. სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება

## თბილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სხდომა

კონფერენციის დელეგატებთან, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმთან, კავშირთა ცენტრალურ სამმართველოებთან, ადგილობრივ კომიტეტებთან და საქარხნო კომიტეტებთან ერთად.

ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმი და პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი.

თბილისის მუშების და წითელ არმიელების დეპუტატების ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა, რომელიც დანიშნული იყო ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლში, გადატანილია სახელმწიფო ოპერის თეატრში 29 მაისისათვის საღამოს 6 საათზე, სადაც შესდგება

## თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა

საკითხების მნიშვნელოვანობის გამო ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება სავალდებულოა.

მდივანი: მეხი.

(2—1)

28 მაისს ამა წლის საღამოს 6 საათზე ცეკას შენობაში შესდგება

## ცეკას პლენუმის სხდომა

**დღის წესრიგი:**

1. კონფერენციის მოწვევა.
2. მოხსენება პარტორგანიზაციების სტრუქტურის შესახებ.
3. საკონტროლო კომისიის მოხსენება.
4. მიმდინარე საქმეები.

ცეკას მდივანი.

## დამხრჩვალი კონტრ-რევოლუცია

ჩვენ ვლაპარაკობთ მენშევიკურ კონტრ რევოლუციაზე, რომელიც უნდა მომხდარიყო იმპერიალისტური რეაქციის აგენტების გეგმით საქართველოში, 26 მაისს. ამნაირათ ჩვენ [illegible]

მას შემდეგ, რაც, იატაკ ქვეშ მომწყვდეული ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ავლენით აგორებულმა ტალღამ გლეხების რევოლუციონური აჯანყებისა ლეჩხუმისა და დუშეთის [illegible]

## ახალი ბლოკადის ცდაც მარცხდება

რუსეთის რევოლუციასთან სამხედრო ინტერვენციების დამარცხების შემდეგ, კაპიტალისტურმა ქვეყნებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ეკონომიური ბლოკადის რკალი და მის მუხრუჭში უნდოდათ გაეგუდათ უზარმაზარი ქვეყანა. ის რაც ვერ დააძერხეს იარაღით ხელში, მათ სურდათ მიეღწიათ იძულებით ეკონომიური ზომებით. მაგრამ ეს ზომა გამოდგა ორი პირით მჭრელი, მიმართული როგორც რუსეთის, ისე დაბოლოს მათ წინააღმდეგაც, რომლებიც უღერებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ამ იარაღს. რუსეთი, დაუშრეტელი „საწყობი" ნედლი მასალის და დამშეული ბაზარი სამრეწველო ქვეყნების ფაბრიკატებისთვის, დაკეტილი შეიქნა მოწინააღმდეგეთათვის და ამნაირათ ბლოკადის კონტრ-ეფექტიც დამღუპველი მათთვის. შედეგათ ამ „მშვიდობიან ინტერვენციას" მოჰყვა უმუშევრობის ზრდა და ისედაც საერთო გამწვავებული ეკონომიური მდგომარეობის კვლავ გაუარესება. დაი კაპიტალისტური სახელმწიფოებიც უკან იხევენ. უწინარეს ყოვლისა დაეტყო ეს უკან დახევა სამრეწველო ინგლისს. გარდა ამისა იტალიას. მათ გაჰყვა გერმანია და რამოდენიმე ნეიტრალური ქვეყნები, რომლებიც მოქცეული იყვნენ და არიან დღესაც დიდი „მაგლაჯუნების" „ტერორ" ქვეშ. მეტნაკლებათ დაინტერესებულნი—რაც შეეხება კაპიტალის უმახლობელეს, ყოველდღიურ, აქტუალურ ინტერესებს—საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში, კაპიტალისტური ქვეყნები ვერ შეინარჩუნებდნენ სრულიად ერთიან ფრონტს მის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს ფრონტიც გაიბზარა. სავაჭრო ხელშეკრულებებმა უცხოეთის კერძო საზოგადოებებთან და შემდეგ ოფიციალურათ სახელმწიფოებთანაც, როგორც მაგ. ინგლისთან, იტალიასთან, გერმანიასთან, შვეციასთან, ნორვეგიასთან, სულაც რომ არ მოვიხსენიოთ რუსეთის მოსაზღვრე „პატარა" სახელმწიფოები დიდი მტაცებლური მადით, აღნიშნეს დასაწყისი ერთიანი ეკონომიური ბლოკადის დარღვევის.

შეიკრიბა გენუის კონფერენცია. მისი მომწვევნი მიზნათ უყენებდნენ მას ევროპის ეკონომიურ აღდგენას. თავის უდიდეს ნაწილში ამ მიზნის განხორციელება შეიცავდა რუსეთთან ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის მთელი სიფართოით აღდგენას, საბჭოთა ფედერაციის ეკონომიურ აღორძინებას, რაც აუცილებელ წინასწარ პირობათ იქნა მიჩნეული საყოველთაო ნორმალურ ურთიერთობათა დამყარებისათვის. მაგრამ ასეთი კავშირის გაბმა აღმოსავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოსთან კონფერენციის ინიციატორებმა მოინდომეს მისი სრულიათ დამონების, რევოლუციის მონაპოვართა დასამარების ნიადაგზე, მის ახალშენათ გადაქცევის გზით. საბჭოთა დელეგაციის პოზიციამ გენუაში ეს გეგმები ჩაშალა და მით ჩაიშალა თვით კონფერენციაც, რომლის მიზანი მისმა მომწვევმა სახელმწიფოებმა ანაცვალეს ბანკირებისა და მრეწველების ეგოისტურ ინტერესებს ევროპის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების დავიწყებით.

კონფერენციის დაშლამდა, როგორც ირკვევა ამერიკის და მის მიერ ზურგ გამაგრებულ საფრანგეთის კარნახით, მიღებულ იქნა ანტანტის და მის გავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოების მიერ ვალდებულება, რომლის თანახმათ, შემდეგ კონფერენციამდე, რომელიც განზრახულია თითქოს სექტემბრისათვის, რუსეთთან არ უნდა დადებულიყო რაიმე სეპარატიული ხელშეკრულება, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ხასიათის. ფაქტიურათ ახალი ბლოკადა რუსეთის—ასეთი იყო უკანასკნელი სიტყვა გენუაში იმედებ გაცრუებულ ყაჩაღების. ცხადია ხელახლა უნდა აღემართათ კაპიტალისტურ ხუროთმოძღვართ გარდუვალი ზღუდე საბჭოთა ქვეყნებისა და დანარჩენ მსოფლიოს შორის და ეს მას შემდეგ რაც პირველი ასეთი ცდა სამარცხვინოთ დასრულდა. რუსეთთან ხელშეკრულებისაგან ამ „ურთიერთი დარღვევით" სურდათ შეეზღუდათ ახალ ეკონომიურ ბრძოლისათვის გამზადებული სახელმწიფოები ასეთი „გარანტიით". მაგრამ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები და ეკონომიური აუცილებლობა უფრო ძლიერი და კატეგორიული ენით მოლაპარაკე აღმოჩნდა, ვინემ თვით ძლიერი სახელმწიფოების კაპიტალისტთა ჯგუფები.

საინტერესოა ამ მხრით ინგლისური გაზეთის, რომლის საინფორმაციო წყაროები ჩვეულებრივ მდიდარია და შედარებით სწორი, ცნობა, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება. მის თანახმათ „ჰააგის კომისიების მუშაობის განმავლობაში ყველა სახელმწიფოებს აქვს უფლება, თუ ისინი ამას მოისურვებენ, დადონ არა პოლიტიკური, სავაჭრო ხელშეკრულებანი რუსეთთან. ამ აზრს იცავს განსაკუთრებით იტალია. ამნაირათ სწერს გაზეთი—კომისიების დაარსება ფაქტიურათ შესაძლებელს ხდის სახელმწიფოების დაახლოებას რუსეთთან, ხოლო ზოგიერთი მათგანისთვის კი თუ კომისიების მუშაობა უშედეგოთ დათავდა „სეპარატიული ხელშეკრულების დადებასაც რუსეთთან, მაგრამ მოკავშირეთა შორის შეთანხმების დაურღვევლათ". რამოდენიმეთ ბუნდოვანათ—პირველათ ეს ყოველთვის ასეა—მაგრამ საკმაო ნათლათ, აქ უარყოფილია ამერიკის (და საფრანგეთის) ცდა რუსეთთან სეპარატიული ეკონომიური (ხოლო თუ ჰააგაც დამარცხდა, ამ შემთხვევაში პოლიტიკური) ხელშეკრულების დადებისა.

ეს მოულოდნელი არ უნდა იყოს მათთვის, ვისაც წარმოდგენილი აქვს ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობა ანტანტის შემადგენელ სახელმწიფოებში და იმ ქვეყნებშიც, რომლებიც მათი გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

როგორი ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერის მატარებელი არ უნდა იყვნენ კაპიტალისტთა ეგოისტური ჯგუფები, რომლებსაც ხელთ აქვთ დღეს ქვეყნების ბედ-იღბალი, მაგრამ გარდუვალი კანონები ეკონომიური აუცილებლობის და ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები გზას გაიკვლევენ და ეს გზა მიიყვანს ყველა საქმიან ხალხს რუსეთში იქ მუშაობისათვის, მაგრამ მხოლოდ მის სუვერენულ უფლებათა და რევოლუციის ძირითად მონაპოვართა შენარჩუნების ნიადაგზე.

## ესერების პროცესის გარშემო

მოსკოვი. 27 მაისი, (რადიო), ესერების დამცველთა ვანდერველდეს ლიბკნეხტისა და სხვ. ჩამოსვლის ამბავმა მიიზიდა ხადგურ სეზეშზე მრავალი ცნობის მოყვარე. საზღვარიდან მოსულ ვაგონს ბრბო შეხვდა „მკვლელების, კოლჩაკოველების და მოღალატის" სახელწოდებათა ყვირილით. რკინის გზის მილიციის აგენტებმა ბრბო არ მიუშვეს ვაგონთან. ხალხის მოთხოვნილების გამო ვაგონის ბაქანზე გამოვიდა ვანდერველდე, რომელიც პასუხს აძლევდა მოცემულ შეკითხვებზე ვანდერველდემ განაცხადა, რომ იგი მოდის ესერების საქმის გასაცნობათ. შეკითხვაზე, იტყვის თუ არა იგი უარს ესერების დაცვაზე, თუ მასალებიდან დარწმუნდება მათ ბოროტმოქმედებასა და დანაშაულში, ვანდერველდემ განაცხადა, რომ ის მაშინ უარს იტყვის დაცვაზე. შემდეგ მას შეეკითხენ, რატომ მიიღო მან მონაწილეობა გერმანიის დამონებაში, როდესაც ხელს აწერდა ვერსალის ხელშეკრულებას, ვანდერველდემ აღელვებით უპასუხა, რომ მასთან ერთად ვერსალის ხელშეკრულებას ხელს აწერდენ გერმანიისა და ავსტრიის სოციალისტები. ვანდერველდეს ამ სიტყვებთან ერთად გაისმა ყვირილი: „შეიდემანი, ნოსკე, ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელები".

ვაგონის ბაქანზე გამოჩნდა ლიბკნეხტი, ძმა მოკლული ლიბკნეხტისა. ხალხმა მოიხადა ქუდი და იმღერა ინტერნაციონალი. ლიბკნეხტმა მოინდომა თავისი გამართლება, მაგრამ მას სიტყვას აწყვეტინებდენ და უძახოდენ „ძირს"—„ძირს".

— მემარჯვენე ესერების საქმეში სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეთ დაინიშნა უმაღლეს რევოლუციონურ ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილე პიატაკოვი, სასამართლოს კოლეგიის წევრებათ გარკინი და კარლენი. ბრალმდებლებათ გამოვლენ კრილენკო და ლუნაჩარსკი.

# რადიო-დეპეშები

## ჰააგის თათბირის გარშემო

**ლოიდ ჯორჯი ლონდონში.**

**ნაუენი.** 25 მაისი, (რადიო). „დეილი ნიუიორკი" იტყობინება, რომ თემთა პალატაში ამ დღეებში შესდგება სხდომა სპეციალურად გენუას კონფერენციის შედეგების განსახორციელებლად. ამ სხდომას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ვრცელ სიტყვას წარმოსთქვამს ლოიდ ჯორჯი, რომელშიაც ის შეეხება აგრეთვე მომავალ ჰააგის თათბირის ამოცანებს. გაზეთების ცნობით ლოიდ-ჯორჯი შეჩერდება საფრანგეთის პოლიტიკაზე და მიჰმართავს თემთა პალატას თხოვნით, რომ მხარი დაუჭირონ მას რურის ბასეინის ოკუპაციის საკითხში. ლოიდ ჯორჯს განზრახული აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს საფრანგეთის ამ განზრახვას, რადგანაც იგი სრულებით ხელსაყრელი არ არის ბრიტანეთის ინტერესებისათვის და წარმოადგენს დიდ საფრთხეს, არა თუ მთელი ქვეყნისთვის, არამედ თვით საფრანგეთისათვისაც.

**პუანკარეს განცხადება.**

**ბერლინი.** 25 მაისი, (რადიო). დეპუტატთა პალატის უკანასკნელ სხდომაზედ დეპუტატი ტარდიე პარიზში გამოვიდა ენერგიული კრიტიკით პუანკარეს პოლიტიკის წინააღმდეგ. საპასუხოდ პუანკარემ განაცხადა: „მე შემიძლიან ვსთქვა მხოლოდ ერთი—როგორიც არ უნდა იქნეს დეპუტატთა პალატის ვოტუმი, საფრანგეთი ჰააგაში არ იქნება.

**რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებისთვის.**

**ნაუენი.** 26 მაისი, (რადიო). „დეილი ხრონიკლ" იხილავს რაპალლოს ხელშეკრულების მუხლებს და სხვათა შორის სწერს: მოულოდნელი და ჰკუის მასწავლებელი იქნებოდა, რომ გერმანელებმა და რუსებმა ურთიერთ თანამშრომლობის გზით მართლაც შეძლონ ერთმანეთის დახმარება. ეს მით უფრო იქნებოდა საინტერესო, რომ ვერც ეხლანდელი თაობა და ალბად ვერც ორი ჩვენს შემდგომი ვერ იტყოდა გადაჭრით თუ რა გზა არის საჭირო ევროპის იმ ჩიხიდან გამოყვანისათვის, რომელშიაც ის მოემწყვდა.

**ჰააგის კომისიების ორგანიზაცია.**

**ლონდონი.** 15 მაისი. „მორნინგ პოსტი", ეხება რა ჰააგის კომისიების ორგანიზაციას აღნიშნავს, რომ კომისიის წევრები დანიშნული იქნებიან დაინტერესებულ სახელმწიფოთა მიერ. ეს ექსპერტები სრულუფლებიანი წარმომადგენლები კი არ იქნებიან, არამედ მხოლოდ დელეგატები, ისინი წარუდგენენ თავიანთ მთავრობებს პროექტებს და მოხსენებებს და არა სავალდებულო დადგენილებებს. „ტაიმსის" ცნობით ყველა მთავრობას ეძლევა უფლება ათი დღის განმავლობაში ე. ი. 15-დან 26 ივნისამდე გაიწვიოს თავისი წარმომადგენელი ჰააგის კომისიიდან—კომისიებმა 4 თვეზედ მეტი არ უნდა იმუშაონ, სახელდობრ 26 ოქტომბრამდე. თავის მხრივ „ვერტმინსტერ გაზეთ"-ი გადმოგვცემს, რომ კომისიების მუშაობის დროს განმავლობაში ყველა სახელმწიფოები არ კარგავენ უფლებას თუ ისინი ამას მოისურვებენ, დასდონ რუსეთთან არა პოლიტიკური სავაჭრო ხელშეკრულება. ამ მუხლის განსაკუთრებით მხარს უჭერს იტალია. „ამრიგად, სწერს „ვესტმინსტერ გაზეთ"-ი, საერთო აზრით, კომისიის დაარსება ფაქტიურად არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა რუსეთთან დაახლოვებას. ხოლო იმ შემთხვევაში თუ კომისიის მუშაობა უარყოფითად დამთავრა, ზოგიერთ სახელმწიფოებს შეუძლიათ რუსეთთან სეპარატიულ ხელშეკრულების დადება იმ პირობით, რომ ამან არ დაარღვიოს თანხმობა მოკავშირეთა შორის.

**ამერიკა და ჰააგა.**

**ლონდონი.** 15 მაისი, (რადიო) „დეილი ექსპრესი" იუწყება, რომ ლოიდ ჯორჯმა მიჰმართა ტელეგრაფით ამერიკას მიიღოს მონაწილეობა ჰააგის კომისიაში. ამასთან დაკავშირებით იგივე გაზეთი ამტკიცებს, რომ საიმედო ცნობების თანახმად ამერიკამ მოითხოვა რაპალლოს ხელშეკრულების დარღვევა-გაუქმება. იგი წინადადებას იძლევა აგრეთვე გაუქმებულ იქნეს ყოველგვარი დღემდე დადებული ხელშეკრულებანი და დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთთან სულ ახალ საფუძვლებზე. ეს მოლაპარაკება უნდა შეიცავდეს ყველა აქამდე არსებულ ხელშეკრულებების, მათ შორის რიგის ხელშეკრულებასაც. „დეილი გერალდი" ამბობს, რომ ყველა ბოლო გარდაწყვეტილებანი, რომელიც მიღებულ იქნა გენუის კონფერენციაზე იყო შედეგი ამერიკის ჩარევისა.

თვით ჰააგის კომისიების დაარსების გეგმა ეკუთვნის ამერიკას ელჩს იტალიაში ჩაილდს.

„დეილი გერალდი" საერთო მდგომარეობას ახასიათებს შემდეგ ნაირად: „ამერიკა ჩაერია გენუის კონფერენციაში საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგოთ განწყობილი და შემდეგი, წინადადებები შეიტანა: 1) გაუქმებული იქნეს რუსეთთან დადებული ყველა ხელშეკრულებები. 2) კომისიაში მონაწილეობის მიღება იმ პირობით, თუ რუსეთის წარმომადგენლები არ იქნებიან დაშვებულნი და 3) ყველა სახელმწიფოები იძულებული იქნენ არ დასდონ სეპარატიული ხელშეკრულება რუსეთთან კომისიის მუშაობის დროის განმავლობაში. ეს უკანასკნელი გეგმა ამერიკისა მრავალმხრივად იქნა შეცვლილი, განსაკუთრებით უკანასკნელი მუხლი. გათვალისწინებულია სხვათა შორის, რომ 30 ივნისს კაპიტალისტურ ქვეყნების ექსპერტები მიაღწევენ შეთანხმებას იმ პროექტის შესახებ, რომელსაც წარადგენს რუსეთი.

**საბჭოთა რუსეთის გამარჯვება.**

**ბერლინი.** (10 მაისი). გაზეთი „ტეგლიხე რუნდშაუ" სწერს: რუსეთის დელეგაციის მორალური გამარჯვება მდგომარეობს იმაში, რომ მან ისეთის მოხერხებით გამოიყენა შემთხვევა ფართე მიმართვისთვის „ყველას... ყველას... ყველას" რომ არ გამოიწვია აშით მოლაპარაკების დაუყოვნებლივი შეწყვეტა". „ლოკალ ანცეიგერის" აზრით ანტანტის ქვეყნებთა დიდი ტაქტიკური შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მათ თავიანთ 2 მაისის მემორანდუმში მოითხოვეს ძალიან ბევრი და არ მისცეს ამავ დროს რუსეთს არავითარი იმედი მისთვის კრედიტის გახსნაში და მის ცნობაში.

**ევროპის აღდგენისთვის.**

**ბორდო.** (26 მაისი. რადიო). „ჟურნალ"-ის ცნობით მორგანმა განაცხადა: ამერიკელი ფინანსისტები მზათ არიან დაეხმარონ ევროპას და კერძოთ საფრანგეთს აღდგენის საქმეში. ეს დახმარება მხოლოდ არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოადგენდეს „პრეცედენტს" საბჭოთა რუსეთისათვის". მორგანმა დაუმატა ამას: თუ გერმანიას მართლა სურს ისარგებლოს საერთაშორისო ფინანსიურ დახმარებით სესხის სახით, ამისთვის მან უნდა მოგვცეს რეალური გარანტიები.

## კაპიტალიზმის სამეფოებში

**იტალია რუსეთის ხელშეკრულების შესახებ.**

**მოსკოვი.** 27 მაისი. (რადიო) შანცერმა, რუსეთთან დადებული ახალი ხელშეკრულების შესახებ, განუცხადა გაზეთ „ტრიბუნალის" თანამშრომელს რომ იტალიის და რუსეთის ექსპერტების მუშაობა მიმდინარეობს გულწრფელი მეგობრობის ატმოსფერაში. ორივე მხარეს ძალიანა სურს, რაც შეიძლება საჩქაროთ იქნეს დადებული ხელშეკრულება.

**ამერიკა და რუსეთის საკითხი.**

**მოსკოვი.** 27 მაისი. (რადიო). ამერიკის მთავრობის იმ შეხედულების გამო, რომელიც მოითხოვს რუსეთის საკითხში რაიმე ნაბიჯის გადადგმამდე, რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის შესწავლას,—შანცერმა განაცხადა „ჩვენ უკვე დავიწყეთ რუსეთთან მოლაპარაკება ახალ ურთიერთობათა განსამტკიცებლად და ძველის მოსასპობათ. ევროპა უფრო, ვინემ ამერიკა, გრძნობს აუცილებლობას რუსეთის პრობლემის სწრაფად და დაუყონებლივ დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტისას და სცნობს საჭიროდ მიეცეს რუსეთს კუთვნილი ადგილი ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში. რუსეთის საკითხის გადაწყვეტის კიდევ გადადება შეუძლებელია. რუსეთში არსებულ პირობებს ჩვენ ვიცნობთ. ამერიკის შიში, რომ გარანტიებს არ ექნებათ შესაფერი სიმტკიცე, ერთგვარად გადაჭარბებულია.

**საფრანგეთი და ჰააგის თათბირი.**

**მოსკოვი.** 27 მაისი. (რადიო). საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში საგარეო პოლიტიკის განხილვის დროს, დეპუტატები მკაცრად ილაშქრებდენ პუანკარეს საგარეო კომპრომისული პოლიტიკის წინააღმდეგ. პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთის მონაწილეობა ჰააგის თათბირში დამოკიდებულია იმაზე, მოიწონებს თუ არა პალატა მთავრობის პოზიციას, რომელსაც იგი აწარმოებდა გენუაში.

**ინგლისელი კრედიტორები რუსეთის შესახებ.**

**მოსკოვი.** 27 მაისი, (რადიო). რუსეთის ინგლისის კრედიტორთა კავშირმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც ისინი იწონებენ ლლოიდ-ჯორჯის ტაქტიკას გენუაში. რეზოლიუცია ესალმება გენუაში მიღწეულ შეთანხმებას რუსეთზე კონტროლის აღდგენისას და აღუთქვამს, რომ ხსენებული კავშირი ყოველი ღონით დაეხმარება კომისიის მუშაობას ჰააგაში, რათა შესაძლებელი გახდეს შეთანხმების მიღწევა და რუსეთის მრეწველობისა და ფინანსიური პრობლემას პრაქტიკულად გადაწყვეტა და ამასთან რუსეთ-ინგლისის ვაჭრობის აღდგენა.

**სოციალისტებთან განხეთქილება.**

**ნაუენი.** 26 მაისი, (რადიო) საერთაშორისო კონგრესის მოწვევისათვის არჩეულ ცხრათა კომისიამ ვერ მიაღწია ვერავითარ შედეგებს. კომუნისტებმა და რადიკლმა განაცხადეს კომისიის შემადგენლობიდან გამოსვლა.

**პროტესტი პოლონეთის წინააღმდეგ.**

**ნაუენი.** 26 მაისი, (რადიო). ვენაში უკრაინის დელეგაციამ ინახულა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი სკირმუნდი, რომელსაც წაუყენა ბრალდება უკრაინის ხალხის დამოუკიდებლობისამი მისწრაფების ძალით ჩახშობის შესახებ.

**ირლანდიაში.**

**ბერლინი.** 26 მაისი, (რადიო). სინფეინერების ყრილობამ მოიწონა კოლინსსა და დევალერს შორის დადებული ხელშეკრულება.

## სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია

**მოსკოვი.** 27 მაისი (რადიო). აღმასკომის სესიამ მიიღო კანონპროექტი სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების შესახებ, რომელიც ძალაში შედის რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში 1 ივნისიდან.

სესიამ დაავალა იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს დებულება სასამართლოს წარმოების მთლიანი სისტემის შესახებ.

სესიამ დაადგინა დაუბრკოლებლივ სწარმოებდეს ცენტრში საგუბერნიო აღმასკომების შუამდგომლობის გაგზავნა დახვრეტა მისჯილთა სასჯელის შემსუბუქების შესახებ. კასაციის ვადა გაგრძელებულ იქნა 72 საათამდე.

სესიამ დაადგინა გლეხობისათვის გადასახადის სიმძიმის შემსუბუქების მიზნით, დაუკლოს 10 პროც. იმათ, ვინც თავის დროზე შეიტანს კუთვნილ გადასახადს და აუცილებლად აუკრძალოს იმ გლეხობისათვის შინაური საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების ადმინისტრატიული წესით ჩამორთმევა, ვინც თავის დროზე და წესიერად ვერ იხდის გადასახადს. ინვენტარს ჩამოართმევს სასამართლო იმ რაოდენობის მიხედვით, რაც არ დაშლის და გაანადგურებს სოფლის მეურნეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რეინის მიდამოების რესპუბლიკა.**

**ბორდო.** 15 მაისი, „ჟურნალ ს“ ცნობებით კელნში 14 მაისს რეინის მიდამოები გამოაცხადეს ცალკე რესპუბლიკად.

**რუსეთი იცინის.**

**ნაუენი.** 26 მაისი, (რადიო). საკითხი ნავთის შესახებ წარმოადგენდა გენუას კონფერენციის მუშაობის მთავარ ღერძს, რუსეთს, რომელსაც უპყრია ნავთის უდიდესი ადგილები, როგორიცაა ბაქო, მხოლოდ ეცინება, როდესაც ხედავს თუ როგორ ერევა დავთარი ინგლისს და ამერიკას, როდესაც ცივილიზაციას, იმპერიალიზმს და ნავთის საკითხს ერთმანეთში ურევენ.

**მანევრები ზღვაზე.**

**ბერლინი.** 26 მაისი (რადიო) მოსკოვიდან მოსული ცნობებით, ფინიკში კრონშტადში ზღვაზე მოახდინეს მანევრები.

**2,000 წარმოდგენა.**

**ბერლინი,** 26 მაისი, (რადიო). 1921 წელს გერმანიაში შესდგა შექსპირის პიესების 2,000 წარმოდგენა. მარტო ბერლინში შექსპირი დაიდგა 300-ზე მეტჯერ.

**ჩინეთში.**

**ბორდო,** 26 მაისი (რადიო). ინგლისის საჰაერო მზვერავთა ცნობებით, სამოქალაქო ომი ჩინეთში ძლიერდება. მთავრობის მოწინააღმდეგე ჯარები თავს იყრიან დიდი კედლის გარეთა მხრით.

**სესხი გერმანიისათვის.**

**ბორდო,** 26 მაისი (რადიო). პარიზში შესდგა გერმანიისთვის გასაცემი სესხის პირობების გამოსამუშავებლად არჩეულ კომისიის პირველი სხდომა. სესხის მიზანია საკონტრიბუციო ვალდებულებათა ნაწილობრივი დაფარვა. თავმჯდომარეობდა დელაკრუა. კომისიის სხდომას დაესწრნენ დელეგატები იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის, შეერთებული შტატების, იაპონიისა და გერმანიისა. დაესწრნენ აგრეთვე ნეიტრალურ სახელმწიფოების წარმომადგენლებიც.

**იძულებითი სესხი.**

**პარიზი.** 26 მაისი. (რადიო). გერმანიის საიმპერიო საბჭომ (რეიხსტაგმა) მოიწონა პროექტი იძულებითი სესხის კანონისა.

**გამოძიება.**

**ბორდო,** 26 მაისი. (რადიო). ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა: ანგორის მთავრობამ ოფიციალურად აუწყა იტალიის მთავრობას, რომ ის მზადაა დაუშვას უცხოეთის წარმომადგენლები იმ მხეცობის გამოსარკვევად, რომელიც თითქოს ოსმალებმა ჩაიდინეს ანატოლიაში. ჩემბერლენმა დასძინა, რომ ანგორის თანხმობა, როგორც ჩანს, განსაზღვრულია ზოგიერთ პირობებით.

**გადასახადი უცხოელებზე.**

**ბორდო** 26 მაისი. (რადიო) ანტანტის უმაღლეს კომისრებმა მოიწონეს პროექტი ოსმალეთში მყოფ უცხოელებზე განსაკუთრებული ხარკის შეწერისა მათი გზებზე მიმოსვლისათვის. ხარკის განაკვეთად შემოღებულია შემდეგი:

თვითეულ უცხოელს გადახდება 2 ოსმალური გირვანქა და თვითეულ ავტომობილზე 100 ოსმალური გირვანქა. გადასახადის დანიშნულებაა ოსმალეთის გზების გაუმჯობესება.

**ევხარისტების კონგრესი.**

**პარიზი.** 26 მაისი. (რადიო) „ტანი“ ამტკიცებს, რომ ევხარისტების კონგრესი, რომელიც გაიხსნა რომში, წარმოადგენს კათოლიციზმის გრანდიოზულ მანიფესტაციას. კონგრესზე ჩამოვიდნენ 10,000 მეტი უცხოელი დელეგატები, და დიდი რიცხვი მლოცველებისა. კონგრესის გახსნის დღეს რომი გაჩირაღდნებული იყო.

**საფრანგეთის ჯარების ევაკუცია**

**ბორდო.** 26 მაისი. (რადიო). პუანკარემ კატეგორიულად განაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ ივნისის ბოლო რიცხვებში საფრანგეთის ჯარები გამოყვანილ იქნება ზემო-სილეზიიდან.

**პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა.**

**პარიზი** 26 მაისი. (რადიო). პოლონეთის სეიმმა დაამტკიცა ჟენევაში გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება. ზემო სილეზიის ტერიტორიის გადაცემა დაიწყება ივლისის შუა რიცხვებში.

**პირადი პოლიტიკა.**

**ბორდო,** 26 მაისი (რადიო). ფინანსთა მინისტრის გერმესის მოლაპარაკება საკონტრიბუციო კომისიასთან უკვე დამთავრდა. „პტი პარიზიენ“-ს იმედი აქვს, რომ კონტრიბუციის პრობლემა ასე თუ ისე გადაიჭრება 31 ივნისამდე.

საკონტრიბუციო კომისიამ შეიმუშავა ძლიერ მინიმალური მოთხოვნილებანი და ეხლა უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის გერმანიას.

**ბორდო.** 26 მაისი, (რადიო). კანცლერი ვირტი აცხადებს, რომ გერმანიამ პარიზის მოლაპარაკებებში გადააჭარბა თავის უფლებებს, ვინაიდან იგი ატარებდა პირად პოლიტიკას, რომლის შესახებაც გერმანიის მთავრობა არ კისრულობს თავის თავზე პასუხისმგებლობის მიღებას.

**საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა.**

**ბორდო.** 26 მაისი, (რადიო). დეპუტატების პალატა პარიზში შეუდგა მთავრობის საგარეო პოლიტიკის განხილვას. შეტანილია შეკითხვათა მთელი რიგი. მოსალოდნელია დიდი კამათი.

**გერმანიის წარმომადგენლობა რუსეთში.**

**ბორდო.** 26 მაისი (რადიო). გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს რუსეთის დეპარტამენტის დირექტორმა ბარონ მალცანმა უარყო წინადადება მოსკოვში გერმანიის ელჩის პოსტის დაჭერის შესახებ. კანდიდატებად ასახელებენ ადმირალ ფონ-გონცეს და რანცაუს, რომელიც არის გერმანიის ყოფილი ელჩი მექსიკაში და ჩინეთში. რანცაუმ გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს უარი განაცხადა ვერსალის ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა.

# პურის სესხის შესახებ

**მოსკოვი.** 26 მაისი (რადიო) გაზეთი „იზვესტია“ სწერს, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის სესიამ მიიღო დეკრეტი პურის სესხის გამოშვების შესახებ. სესხზე ხელის მომწერნი—შეიტანენ ფულს, ხოლო სამაგიეროდ მიიღებენ პურს. სახელმწიფო უშვებს ობლიგაციებს ერთი ფუთიდან 100 ფუთამდე ღირებულებისას. სესხის დაფარვა შესაძლებელი იქნება ორგვარათ: სახალხო სასურსათო კომისარიატი ქმნის პურის აუცილებელ ფონდს ობლიგაციების გამოსაყიდათ და გაუთვალისწინებელ პირობათა შემთხვევასათვის სახელმწიფო გამოყოფს ცალკე 10.000.000 მანეთს ოქროთი, პურის შესაყიდათ და სესხის ვალების დასაფარავად. ამ რიგად სესხზე ხელის მომწერნი შეიძლება დამშვიდებულ იქნან. ობლიგაციის მყიდველები თავიდანვე იგებენ 5 პროც. ნამდვილად კი მოგება უფრო დიდი იქნება. სესხი მოკლე ვადიანია, რომელიც გასტუმრებულ უნდა იქნეს 1922 წლის პირველ დეკემბრისათვის. დეკემბერი და იანვარი ყველაზე უფრო ძნელი სასურსათო თვეებია, რის გამოც ობლიგაციების ფასმა, რომელიც უნდა გადახდილ იქნეს პურით,—აიწია. ხელის მომწერთ შეუძლიათ ეს ობლიგაციები გაუშვან წარმოებაში, გაყიდონ, დააგირაონ და წარადგინონ იგი იჯარით გაცემის დროს, როგორც საწინდარი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოგება ამ სესხიდან მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის ძალიან სწორი საშუალება დაზღვეს საკუთარი ფული მისი კურსის დაცემიდან. ჩვენი პირველი სახელმწიფო სესხი იმდენ მოგებას აძლევს მასზე ხელის მომწერთ, რომელსაც არ აძლევდა არც ერთი სესხი კაპიტალისტურ ქვეყნების კრედიტის ისტორიაში. ხელის მომწერის კერძო ინტერესი მჭიდროთ არის დაკავშირებული საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესთან. სესხი იძლევა საშუალებას სწორეთ სანახევროთ შეამციროს ჩვენი დამახრჩობელი ქაღალდის კომარი, ახლა საქმე მცხოვრებლებზეა. მისი თვითმოქმედებისაგან არის დამოკიდებული სესხის ნაყოფიერება. საჭიროა რომ სესხზე ხელის მოწერა გავრცელდეს სოფლად. საჭიროა გავიწვიოთ ენერგიული კამპანია, რათა გლეხობას აუხსნათ მთელი მომგებიანობა აღნიშნულ სესხისა. გლეხობისათვის მნიშვნელოვანია, ის, რომ სესხის მიღება სავალდებულოა სახალხო სასურსათო კომისარიატების მიერ მოლიანი ნატურალური გადასახადის ანგარიშში. გლეხობისათვის უფრო ხელსაყრელია სესხის ობლიგაციების ყიდვა და ამ რიგათ ნატურალური გადასახადის შეტანისაგან თავის განთავისუფლება. პურის სესხზე ხელის მოწერა აგრეთვე წარმოადგენს ინტერეს სახელმწიფო წარმოებისა, დაწესებულებისა, მუშათა კოოპერატივებისა და კერძო პირებისათვისაც.

# საზღვარ-გარეთიდან სურსათ-სანოვაგის შემოტანა რუსეთში

**მოსკოვი.** ესტონიაში და ლატვიაში მოგზაურობიდან დაბრუნდა მოსკოვში სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. ხალატოვი, რომელიც იქ იქნა გაგზავნილი როგორც რწმუნებული შრომისა და თავდაცვის საბჭოსი. მან გაზ. „პრავდას“ თანამშრომელთან ბაასის დროს თავის მოგზაურობის შესახებ შემდეგი განაცხადა: „ლატვიისა და ესტონიის ნავთსადგურები და რკინის გზები ჩვენთვის დიდ მუშაობას აწარმოებენ. განსაკუთრებით ეს ცხადათ სჩანს ტრანსპორტის საქმეში. ამ ორივ სახელმწიფოთა გზები თითქმის სავსეებით დატვირთულია ჩვენი სათესლე მასალისა და სხვაგვარ საქონლის გადაზიდვით.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნავთსადგური რუსეთის ყოფილი ნავთსადგურებიდან ბალტიის ზღვაზე, რომელიც არ იყინება და რომელსაც შეუძლია მთელი წლის განმავლობაში მიიღოს ღრმად ჩამჯდარი დიდი გემები—არის ლიბავა. 10 თებერვლიდან, როდესაც ლიბავაში დაიწყო ჩვენი საქონლის მოტანა. 23 აპრილამდე ამ ნავთსადგურში შემოვიდა 27 გემი საერთოდ 52.037 ტონი საქონლით. ამავე პერიოდის განმავლობაში დატვირთულ იქნა და გაიგზავნა რუსეთში 2969 ვაგონი 2,62,3190 ფუთის მიმძიმის. 28 აპრილისათვის საწყობებში დარჩა კიდევ 599 ვაგონი სხვადასხვა საქონელი.

ვინდავის ნავთსადგურიც არ იყინება. 18 იანვრიდან 28 აპრილამდის ვინდავაში მოვიდა 136,250 ტონი საქონელი და გამოიგზავნა 6 327 ვაგონი. ამ უკანასკნელი რიცხვისათვის დარჩა წყალზე დაახლოებით 2000 ტონი და 1 საწყობებში 1937 ვაგონი საქონელი.

რიგის ნავთსადგური მხოლოდ ეხლა იწყებს თავის მუშაობას, რადგან რიგის ზღვის ყურე დიდი ხანი არ არის რაც გაიწმინდა ყინულებისგან. მაინც აქ არსებობს 1000 ვაგონზე მეტი საქონელი. მომავალში საზღვარგარეთიდან შემოსატან საქონლის მუშაობის მთელი სიმძიმე განზრახულია გადავიტანოთ რიგაში, სადაც არის შესაძლებლობა ყოველდღიურათ დატვირთულ იქნეს 300—400 ვაგონი.

ეს მოსაზრება ნაკარნახევია იმ გარემოებითაც, რომ რიგის ნავთსადგური ყველაზე უფრო ახლოა ჩვენ საზღვრებიდან და იგი 162 ვერსით უფრო ახლოა ვინდავიდან ჩვენს საზღვრებზე და 135 ვერსით ლიბავიდან. მაისში რიგაში მოველით 30-დან 40000 ტონამდე საქონლის შემოტანას.

ესტონიაში არსებობს მხოლოდ ერთი ნავთსადგური—რეველი, რომელიც შედარებით უფრო სუსტათ მოწყობილი, როგორც გემების შემოსვლისათვის, ისე გზების სივრცით, ვინემ ბალტიის ზღვის დანარჩენი ნავთსადგურები, სადაც შემოაქვთ ჩვენი საქონელი. მიუხედავათ ამისა რეველში, ხელსაყრელ პირობების დროს შეიძლება ყოველდღიურათ დაიტვირთოს 300-მდე ვაგონი. რეველში ჩვენი ყოფნის დროს იქ იმყოფებოდა საქონელი ამერიკის-რუსეთის დამხმარე კომიტეტისა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებისა, სახალხო-სასურსათო კომისარიატისა, მიწათმოქმედების კომისარიატისა და სხ. გემებზე გადმოსატვირთად 1306 ვაგონი, გემებზე რიგში 3149 ვაგონი და საწყობებში 781 ვაგონი საქონელი.

ჩვენ მოგვიდგა ამოცანას, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანის საქმეში, წარმოადგენს ამ საქონელთა პეტროგრადის ნავთსადგურში მიღების მოწესრიგება. პეტროგრადის ნავთსადგურის შესაძლებლობანი დიდია და იგი ჩვენ სავსებით უნდა გამოვიყენოთ.

# კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა

ამ უკანასკნელ დღეებში საქართველოს სხვა და სხვა პუნქტებში ადგილი ქონდა ანტისაბჭოთა პარტიების გამოსვლას, რომლებსაც აერთიანებს ეგრეთ წოდებული პარიტეტული კომიტეტი ქართველ მენშევიკების მეთაურობით.

ამ პარტიებმა ჯერ კიდევ 20 მაისს გამოუშვეს საერთო პროკლამაცია, რომელშიც ხალხს მოუწოდებდენ გამოსვლებისაკენ 26 მაისისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის ოთხი წლის თავზე.

როგორც თანდათან ირკვევა ამ გამოსვლას დიდხანს, დაწვრილებით და კონსპირატიულად ამზადებდენ.

კონტრ-რევოლიუციონურ ნაციონალისტური პარტიების პარიტეტული კომიტეტს მჭიდრო კავშირი ქონდა გაზმული მეტეხის ციხეში დაპატიმრებულებთან, რომელნიც აგრეთვე მომხრენი იყვნენ გამოსვლისა.

რესპუბლიკის თავდაცვის ორგანოები რომ მოულოდნელ და უცაბედ მდგომარეობაში ჩაეგდოთ და დაესწრონ 26 მაისისათვის შესაძლებელ დაპატიმრებათათვის, ორგანიზატორებმა გამოსვლის პირველ დღეთ დანიშნეს არა 26, არამედ 24 მაისი. ამ დღიდან მთელ საქართველოში უნდა მომხდარიყო საყოველთაო გაფიცვები, მასიური დემონსტრაციები ქალაქებში, დაბებში და სოფლებში. ყველა ეკლესიებსა და მონასტრებში განუწყვეტელი ზარების რეკვით. ყველა სახლებზე უნდა გადმოეფინათ შავი და მასთან სამფეროვანი ნაციონალური დროშა.

13 ადგილას ფოილოს ხიდიდან დაწყებული ვიდრე ბათომამდე უნდა აეყარათ რკინის გზის ლიანდაგი, რათა ხელი შეეშალათ რკინის გზის მოძრაობის მსწრაფლად აღდგენისათვის იმ შემთხვევაში, თუ გაფიცულ რკინის გზის მოხელეთ შესცვლიდენ მუშა კომუნისტებით და საერთოდ შეუძლებელი გაეხადათ ძალების რკინის გზით გადაყვან გადმოყვანა პროვოკაციული სროლის მეოხებით განზრახული იყო შეექმნათ საერთოთ არეულობა და შიშიანობა. გამოეწვიათ „ექსცესები“ ხელისუფალთაგან და ამ რიგათ შეენძრიათ ყველგან ხალხის მასები. გამოიწვევდნენ რა „ენტუზიაზმს“ ბრძოლისას, და სტიქიის ამოძრავებას, მენშევიკები იმედოვნებდნენ, რომ ეს გამოსვლები გადაიქცეოდა შეიარაღებულ ბრძოლად საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და მათი „უჩრედილკი“-ს აღსადგენათ. მაგრამ თუ შეუძლებელი გახდებოდა ამ პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელება, მენშევიკები [illegible] დამაკმაყოფილებლად ჩასთვლიდნენ მიღწეულ შედეგებსაც: გამოსვლებსა და მათი სისხლის ღვრით ჩაქრობას უნდა დაენახვებინა ანტანტისათვის, რომ საქართველოს ხალხი არ იღებს საბჭოთა ხელისუფლებას და იარაღით ხელში იბრძვის მის წინააღმდეგ, ღვრის რა იგი სისხლს დამფუძნებელი კრების ხელისუფლების აღდგენისათვის.

მაგრამ მენშევიკებმა ანგარიშში არ მიიღეს პატრონები, ე. ი. საქართველოს მუშები და გლეხები, ე. ი. რესპუბლიკის მცხოვრებთა 95 პროცენ. არ მიიღეს ისინი მხედველობაში და იმედებიც უბადრუკობით გაუცრუვდათ. ვინაიდან მთელი მშრომელი საქართველო, მხოლოდ, ზოგიერთ ერთეულების გამოკლებით, სავსებით გულცივად შეხვდა მათ მოწოდებას, და ზოგიერთ ადგილებში კი უპარტიო ადგილობრივმა მასამ თვით აქტიურად ჩააქრო და მოსპო გაფიცვების მოწყობისა და საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციების ცდა მოსამსახურეთა უმნიშვნელო ჯგუფებისა და სტუდენტებისა, რომლებიც გაბრიყვებულნი იყვნენ მენშევიკებითა და მათი მოკავშირე შავრაზმელებისაგან. და სწორეთ მასების ამ გულცივობამ პროვოკატორების წაქეზების მიმართ, პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის გამოსვლა სამარცხვინოდ ჩაშალა. დემონსტრაციების და ბრძოლის მაგივრად მათ ხელში შერჩათ უბრალო ქუჩური დებოში. აი რაში გამოიხატა საქართველოს კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების ბლოკის კამპანია:

**თბილისი.** 24 მაისს, დილის 11 საათზე მუშაობას თავი მიანება ქალაქის აღმასკომის ზოგიერთ განყოფილების რამოდენიმე მოსამსახურემ, სულ 50 კაცამდე რამოდენიმე ასეულ მოსამსახურეთაგან. მოსამსახურეთა მხოლოდ 31 პროცენტმა დაანება მუშაობას თავი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, მუშათა და გლეხთა ინსპექციაში და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში. რამოდენიმე მოსამსახურემ მიატოვა სამსახური შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

რასაკვირველია მუშაობა არა ერთ ამ დაწესებულებათაგანში არ შეწყვეტილა წასული მოსამსახურენი უნდა შეერთებოდენ წინასწარ განზრახულ დემონსტრაციას, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ მოხერხდა.

არსენალში საყვირის პროვოკაციული ხმის გამო მუშათა ნაწილმა მიატოვა მუშაობა და გამოვიდა ეზოში მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ აუხსნეს მნიშვნელობა საყვირის ამ ხმისა და მუშები დაუყოვნებლივ შებრუნდენ სახელოსნოებში და განაგრძეს მუშაობა.

რკინის გზის დეპოს ახლო, 15 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი (მათ შორის 3 სტუდენტი იყო), ორთქმავალის საყვირის პროვოკაციული ხმით სცდილობდა გამოეწვია მუშები. ნაწილი მუშებისა მართლაც გამოვიდა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ დაეჭირათ ყველა ეს პროვოკატორი წამქეზებელნი და მიეყვანათ რკინის გზელთა საგანგებო კომისიაში მოთხოვნით, რომ ისინი მკაცრათ დაესაჯათ.

რასაკვირველია არც დეპოში და არც რკინის გზის სახელოსნოებში მუშაობა არ შეწყვეტილა, როგორც არ შეჩერებულა მუშაობა ტრამვაიზე, ელექტრონის სადგურზე, არც ერთ ფაბრიკა ან რომელიმე წარმოებაში.

შესაკრებად განზრახულ ადგილებში, ვაკეში, დიდუბის მოედანზე, მაიდანზე და ვერის დაღმართზე, ხალხის თავის მოყრას არ ქონებია ადგილი და თუ ნაწილობრივად ქონდა ამ სახით: ვერის დაღმართთან ახლოს, ბნელ ქუჩის შესახვევში, დილის 12 საათისათვის დაიწყო თავის მოყრა სტუდენტებისა, კურსისტკებისა და მოსამსახურეებისა და ანასტასიევის ქუჩით ეს „უზარმაზარი“ და საშინარი“ მანიფესტაცია შავი დროშით გაემართა ლენინის ქუჩისაკენ. მაგრამ რამოდენიმე წამის შემდეგ, როდესაც მანიფესტაციაში მონაწილეებმა ვერც კი მოახერხეს ქუჩის შესახვევიდან გამოსვლა, ყველა მათგანი დააპატიმრეს. დაპატიმრებულ 170 კაცს შორის არ არის არც ერთი მუშა. ქალები და მავშვები დაუყოვნებლივ იქნენ განთავისუფლებულნი.

მაიდანზედ 10 კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა აიფრიალა შავი დროშა და გაემართა მეტეხის ციხისაკენ, მაგრამ ეს ჯგუფი გაიფანტა იმავე წუთში, როგორც კი გამოჩნდენ მილიციონერები.

25 მაისს არავითარი გამოსვლა არ ყოფილა. 26 მაისს ჯარისკაცთა ბაზარზე, რამოდენიმე ინტელიგენტმა მოინდომა მანიფესტაციის გამართა, მაგრამ მათაც მსწრაფლ მიანებეს თავი ამ საქმეს.

ამ გვარად ჩატარდა სამი გმირული მენშევიკური დღე.

### პროვინციაში.

**შორაპანში** შორაპანში დეპოს მუშებს გამოუცხადეს, რომ ზესტაფონში გაიმართება კომუნისტების მოხსენებანი და მათ შორის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის გეგეჭკორის მოხსენება. საყვირის ხმის შემდეგ 25 მუშა (უმთავრესად უპარტიონი) გაემართა ზესტაფონისაკენ. გზაზე მათ მეთაურმა აიფრიალა დროშა ანტისაბჭოთა ლოზუნგებით. მუშები შეჩერდენ და რა გაიგეს საქმე რაშიდაც იყო, დაბრუნდენ უკან და განაგრძეს მუშაობა. მუშაობის შემდეგ დეპოში გაიმართა მუშათა კრება და გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიც გმობდენ მენშევიკებს.

**ზესტაფონში** ამავე დროს გაიმართა „მანიფესტაცია“, რომელზედაც გამოვიდა მხოლოდ 4 კაცი, მაგრამ ისინიც მალე დაიშალნენ.

**ფოთში** მტვირთავ მუშათა 600 კაციდან სამუშაოზე არ გამოცხადდა 120 კაცი არც ერთ დაწესებულებაში ან წარმოებაში არ ქონებია ადგილი მუშაობის თავის დანებების არც ერთ შემთხვევას.

**ქუთაისში** არ გამოცხადებულა სამსახურში რამოდენიმე მოსამსახურე მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ეკონომიურ განყოფილებისა, ხაზინისა, სასურსათო კომიტეტისა და სახალხო განათლების განყოფილებისა. ქუჩაში გამოვიდა მოწაფეთა ჯგუფი მუსიკით, მაგრამ ისინიც საჩქაროთ დაიშალნენ. ჩამორთმეულ ერთ ერთ წერილში ნათქვამია, რომ მოსამსახურეთ წინადადება ეძლეოდათ სამსახურში გამოუცხადებლობა აეხსნათ „ქალაქში საშიშარი მდგომარეობით“.

**სამტრედიაში** საყვირის ხმაზე მუშაობას თავი მიანება 30 რკინისგზელმა. მათ შეუერთდა ადგილობრივ მცხოვრებთა მცირე ჯგუფი. ამ ჯგუფმა რამოდენიმეჯერ გაისროლა, რითაც დაჭრილ იქმნა ერთი გარეშე მაყურებელი.

კომუნისტების რაზმის გამოჩენისთანავე მუშები დაბრუნდნენ დეპოში და განაგრძეს მუშაობა.

**ოზურგეთი.** არავითარ გამოსვლას არ ქონებია ადგილი. გაიფიცენ მხოლოდ მეეტლენი. მაზრის ზოგიერთ მივარდნილ კუთხეში მენშევიკებმა მოინდომეს მიტინგების გამართვა ინტელიგენტებისა, სპეკულიანტებისა, მედუქნეებისა და მოქეიფეთა თანადგომით, მაგრამ ამ ცდამაც უყოფილოდ ჩაიარა. **ხიდისთავში** პროვოკატორებმა გადააგდეს ყუმბარა, რომლის აფეთქებითაც ადმინისტრაციის წევრთაგან მოკლულ იქნა 1 და დაჭრილი ერთი, ხოლო თვით ჯგუფიდან კი მოკლულ იქნა ერთი დაიჭრა 2.

**ლანჩხუთი.** მოწაფეთა და მეეტლეების ბრბო დაიშალა ხელისუფლების წარმომადგენლების გამოჩენისთანავე.

**ნატანები** არ გამოცხადდენ სამსახურში ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი.

**ბათომში.** მოწაფეებს სურდათ ემართათ დემონსტრაცია ბაზარზე, მაგრამ ცდა უნაყოფოდ დამთავრდა.

**დაბა ბანძაში** (სენაკის მაზრა) „გამოვიდა“ 19 მოწაფე, რომელნიც დაპატიმრების შემდეგ განთავისუფლებულ იქნენ.

**თელავი.** თბილისიდან ჩამომავალ მატარებლიდან მოიხსნა მემანქანე და მისი თანაშემწე. მატარებელი გაემართა თავისი მიმართულებით ახალი მემანქანით.

24 მაისს დილით ბათომის ბაზარზე გაიმართა საცოდავი დემონსტრაცია 200 კაცის გიმნაზისტების და მეეტლეებისა, რომელიც ცეცხლის მქროლი რაზმის მიღებით მუქარის შემდეგ 15 წამის განმავლობაში დაიშალა. წესიერება ქალაქში დარღვეულა, მაღაზიები ღია იყო, ფაბრიკებსა, წარმოებებსა და დაწესებულებებში მუშაობა მიმდინარეობდა ჩვეულებრივად. ერთი კვირის წინ 24 მაისისათვის დანიშნული პროფკავშირთა პლენუმის სხდომამ ყველა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრებით, მიიღო მენშევიკების ამ ცდის შესახებ ერთხმად რეზოლიუცია, რომელშიც ზიზღით ახსენეს მენშევიკების გამყიდველობას და აღნიშნავენ, რომ ბათომის ყველა მუშა პოლიტიკურის რწმენის გარეშე, არავითარი საერთო არა აქვთ კაპიტალისტების აგენტებ-მენშევიკებთან. ასეთივე რეზოლიუცია მიიღო ერთხმად ბათომის მაზრის მუშათა მიტინგმა, რომელიც მოწვეულ იქნა სახელოსნოებში შამბის დამთავრების შემდეგ. მუშათა საერთო განწყობილება შესანიშნავია; ისინი ზიზღით უყურებენ მენშევიკების ამ უბადრუკ ცდას.

**საქართველოს სხვა დანარჩენ რაიონებში, არც მაზრებში და არც მაზრო ქალაქებში არ ყოფილა არავითარი ცდა გამოხმაურებოდენ მენშევიკების მოწოდებას.** სამრეწველო პუნქტებში, როგორიცაა **ტყიბული და ჭიათურა** არავითარი გამოძახილი არ ქონებია მენშევიკების პროკლამაციების მოწოდებას.

აი მთელი სიმართლე საქართველოში მომხდარ უკანასკნელი ამბების შესახებ. რასაკვირველია რამოდენიმე დღის შემდეგ რადიო გვაცნობებს საზღვარ გარეთულ მენშევიკების ხელით, რომ გაიმართა რამოდენიმე ათასეული ან მილიონიანი დემონსტრაციები და რევოლიუციონური შეტაკებანი საქართველოს მუშების და გლეხებისა „საზიზღარ“ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან და რომ დადგა ზღვა სისხლისა, რომელიც აქ იქნა დაღვრილი.

# ქრონიკა

**✦ დახმარება არ. ჯორჯიაშვილის მშობლებს.** ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის სეკრეტარიატის სხდომამ დაადგინა: როგორც დამსახურებულ რევოლიუციონერის, თვითმპყრობელობის მიერ დასჯილის, მთავარ სახელოსნოების მუშის ამხ. არსენა ჯორჯიაშვილის დედმამას: დარიას და პავლე ჯორჯიაშვილებს მიეცეს ახალი ტანთსაცმელი მიეცეს საპენსიო დამზღვევ კომიტეტს წინადადება, რომ მისცეს მათ ერთდროული დახმარების სახით ორი მილიონი მანეთი და ჩარიცხოს ისინი მუდმივ პენსიაზე.

**შრომის სახალხო კომისარიატში.**

**სახელმწიფო დახმარების განყოფილება.** დამზღვევ კასების და სპეციალური დახმარების ქვეგანყოფილება გამოყოფილია „ულარიბეს მცხოვრებთათვის სახელმწიფო დახმარების“ დამოუკიდებელ განყოფილებად, რომელიც უშუალოდ ემორჩილება შრომის სახალხო კომისარიატს; ამავე დროს განყოფილება უნდა მუშაობდეს მუდმივ კონტაქტში და კავშირში დამზღვევი კასის გამგეობასთან.

პროვინციებში ასეთი ორგანოების მოწყობა დაევალა შრომის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო დახმარების განყოფილებას.

— ულარიბეს და შრომის უნარ მოკლებულების კატეგორიისათვის ენდა ინახებოდეს რეგულიარულად ყოველთვიური პენსია.

— ერთდროული დახმარება მიეცემა კერძო შემთხვევაში მხოლოდ ძლიერ შევიწროებულებს.

— სახელმწიფო დახმარების განყოფილებამ მიიღო დაურიგოს ულარიბეს მცხოვრებლებს შესაფერი მოწმობები კომუნალურ სამსახურის და ბინის ქირის შეღავათით სარგებლობისათვის, ამავე დროს განყოფილება უნდა შეუთანხმდეს აღმასკომს შეღავათის ნორმის გამომუშავებაში და წვრილებით ინსტრუქციების მიღებამდე მოწმობები მიეცემა იმ პენსიონერებს, რომლებიც გატარებულია სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში და აქვთ პენსიის მიღების უფლება.

**✦ შეღავათები აგრანომ სტუდენტებს,** რომლებიც სამსახურში არიან უნდა მიეცეთ სასწავლებლების მოწმობების მიხედვით, ვინც შეღავათს მიიღებს გატარებული იქნება შრომის სახალხო კომისარიატში და შეინახვათ ჯამაგირი და ულუფა.

**✦ დახაზიჩრებულ მეომართა კავშირი** დადგენილების თანახმად გადადის საზღვაო სამხედრო კომისარიატის განკარგულებაში.

— სახელმწიფო დახმარების განყოფილებას დაევალა განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად გამოარკვიოს ყოფილ საზოგადო მოღვაწეების უზრუნველყოფის საკითხი.

**✦ დაზღვევა 10 პროც. გამორიცხვა სახელ. დაწესებულებებში.** პროექტი დეკრეტისა 10 პროც. გამორიცხვისა სახელმწიფო დაწესებულებებში და წარმოებებში დამზღვევი ფონდისათვის, მოიწონა შრომის სახალხო კომისარიატმა და წარადგინა კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად.

### კურორტები.

— ავადმყოფების მიღებმა და კურორტებზე განმანაწილებელმა კომისიამ, რომელიც შესდგება საქართველ. კომპარტიის ცეკას პროფკავშირთა საბჭოს და დამზღვევი კასის წარმომადგენლებიდან, დაამთავრა წინასწარი მუშაობა და შეუდგა ავადმყოფების კურორტებზე დანაწილების, კავკასიის მინერალურ წყლებზე გაგზავნილია 15 ავადმყოფი. ყირიმში იგზავნება აგრეთვე 15 ავადმყოფი.

— ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ანაწილებს კოჯორის სახელმწიფო აგარაკებს უწყებებს შორის. განათლების სახალხო კომისარიატს ეთმობა დაახლოვებით 1200 ოთახი, დაახლოვებით 120 ოთახი მიეცა კავკასიის ცალკე არმიას. რკინის გზელებს დაუთმეს ყოფილი ინსტიტუტის აგარაკი 250 ოთახით. დანარჩენი აგარაკები განაწილებულია სხვა უწყებების შორის.

— ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო ადგილების განყოფილებამ გაგზავნა ტექნიკური კომისია ბორჯომში, აბასთუმანში, ცემში, წაღვერში და სხვა კურორტებზე უკანასკნელ სამზადისს მუშაობის დასასრულებლად კურორტებზე სამკურნალო სეზონის გახსნისათვის. რესპუბლიკის კურორტებზე მოსამსახურეების შტატი თითქმის მოსრულებულია საგანგებო კომისიის მიერ.

**✦ კომუნალური მეურნეობა.** ქალაქის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას, მიწად მოქმედების განყოფილებამ იჯარით გადასცა ქალაქის მიწები შემდეგ დაწესებულებებს კავკასიის ცალკე ლაშქრის სასურსათო გამგეობას 300 დეს. სათიბი, ავლაბრის მარილიანი ტბის ახლო და ამავე ადგილას 400 დესიატინა საძოვარი, საქართველოს საგანგებო კომისიას 100 დესიატინა სათიბი იქავე.

**✦ ტყის მოშენება.** ი. იზაკტრეგერის მოხსენების გამო, ამიერ კავკასიის ტყის მოშენების შესწავლის შესახებ სატყეო საზოგადოებამ აირჩია კომისია სატყეო საქმის სპეციალისტებიდან: პ. ზ. ვინოგრადოვის, ნიკიტინის ლ. ი. ზაკტრეგერის, ი. ო. როშჩინის და მომხსენებლის შემადგენლობით კომისიას მიენდო ტყის მოშენების შესწავლის პროგრამის გამომუშავება და მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ მასალების განხილვა.

### დღეს თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—ცეცხლის [illegible]რუში.

რუსთაველის თეატრი—გამოსათხოვარი ბენეფისი კაშევსკის „[illegible]ნურა მაჯულება“.

პატარა თეატრი — ბლუმენტალ-ტამარინის გასტროლი „კინ“.

რევ სამხატვრო თეატრი—უკანასკნელი რაინდი.

მუშათა ცენტრ. კლუბი—წარმოდგენა მინიატიური.

საქ. წითელი ლაშქრის ცენტრ. კლუბი—საზაფხულო სეზონის გახსნა დიდი კონცერტი.

თავისუფალი თეატრი—დიდი ირნოა და წარმოდგენა.

კონსერვატორია—კონცერტი.

ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

### კინო-თეატრები.

არფასტო—ტრაღედია ჰაერის შტზე. სარკის—ახალი პროგრამა. [illegible]ნო არს—ახალი პროგრამა.

# შრომის ფრონტზე

**ტვირთ ზიდვის გადასახადი.**

მუშაობის დაგვიანებით დაწყების გამო შრომის და ტვირთ ზიდვის გადასახადის გატარება შეფერხდა თითქმის ორი თვით და მას შეუდგენ მხოლოდ მარტის დასასრულს. შრომის და ტვირთ-ზიდვის წესით შესრულებულია შემდეგი სამუშაო:

1) გადაზიდულია 1000 ფ. სათესი მასალები, რასაც მოუნდა დაახლოვებით 40 ურემი. 2) გადაზიდულია 26 ურემი აგური უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყის ქარხნისათვის (ცხინვალში. 3) შეაკეთეს აშენეს 5 ახალი ხიდი, რისთვისაც გამოყენებულ იქნა 600 სამუშაო დღე და 40 წყვილი კამეჩი ხე ტყის მასალების გადასაზიდად. ახლო მომავალში დამთავრდება შრომის უნარ მქონეთა აღრიცხვა 18 წლიდან 50 წლამდე, რომლებზედაც უნდა დაწესდეს გადასახადი.

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

## კოოპერაცია საქართველოში

I.

[illegible]

II.

[illegible]

III.

[illegible]

...კოოპერატივების დაარსებისადმი, რომელნიც იქნებოდნენ უფრო სპეციალური ხასიათისა, უმთავრესად სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების და განაღდების დარგში. 1899 წელს დაარსებულ იქნა „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი საზოგადოება", რომელიც ყიდულობდა თავისი წევრებისაგან პარკს, ამუშავებდა მას ფაბრიკებად განაღდებისათვის და აგრეთვე აწვდიდა თავის წევრებს აბრეშუმის თესლს და სხვა. თავისი არსებობის 15 წლის განმავლობაში ამ ამხანაგობამ გუბერნიაში მაღლა ასწია აბრეშუმის კულტურა. საზღვრების დახურვის და ომის მიერ გამოწვეულ საერთო ეკონომიურ არევდარევის გამო ეს ამხანაგობა გაუქმებულ იქნა.

ასეთი ტიპის მსხვილ ორგანიზაციას აღმოსავლეთ საქართველოში წარ...

...წლის.

მაგრამ 1911—1914 წლამდე მომხმარებელთა კოოპერაციის განვითარება იყო შედარებით ნელი.

მსოფლიო ომის წლები არის უფრო ნაყოფიერი მომხმარებელ საზოგადოებათა აღდგენისთვის. განსაკუთრებით შთამაგონებელ სურათს მომხმარებელ კოოპერაციის ზრდისა იძლევა 1918-1919 წლები.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1916 | წელში არსებობდა | 199 | საზ-ბა |
| 1917 | „ „ | 565 | „ |
| 1918 | „ „ | 953 | „ |
| 1919 | „ „ | 989 | „ |

ამ დროს მთელი საქართველო, ზოგიერთ რაიონების გამოკლებით დაფარული იყო მომხმარებელთა კოოპერატივებით. შემდეგ მათი გავრცელება შეჩერდა, და პირიქით მოხდა ზოგიერთ საზოგადოების ლიკვიდაცია.

1920 წ. 1 იანვარს მოქმედებდა 903 მომხმარებელთა საზოგადოება.

...

4) ფურნე 5.

5) აგურ-კრამიტის ქარხანა 2.

6) აბრეშუმის პარკის მოსაგუდი და გასახმობი მოწყობილებანი 1.

7) ყველის საკეთებელი ქარხანა 1.

8) ფეხსაცმელების სახელოსნო 7.

ქალაქის მომხმარებელ საზოგადოებებს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, იმავე წელში ქონდათ 10 სასადილო.

## პროვინციაში

### დ. ხარაგოული.

19 მაისს ახალი სტილით დ. ხარაგოულში, რკინის გზის თეატრში შესდგა რაიონის უპარტიო მშრომელ ქალთა კრება, რომელსაც დაესწრო ას ოცამდე მშრომელი ქალი. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია მათიკო მეტრეველი და მდივნათ ელენე კამკამიძე.

მოხსენება გააკეთა ამხ. ია მიქაძემ და გააცნო დამსწრეთ, თუ რას ანიჭებს საბჭოთა ხელისუფლება მშრომელ ქალებს, მიუთითა აგრეთვე იმ ჩაგვრა ყვლეფაზე, რომელსაც განიცდიდა ქალი სხვა და სხვა მყვლეფელ მთავრობებისგან. შემდეგ ილაპარაკა ამიერ კავკასიის მშრომელ ქალთა ყრილობის შესახებ.

ილაპარაკა აგრეთვე ამხ. ალ. ზოგვერაძემ, რომელმაც აღნიშნა საერთოდ ის დამცირებები, რომელსაც შრომელი ქალები განიცდიდენ მენ...

...შევიკების რეჟიმის დროს.

მოხსენებების დასრულების შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენებები ქალთა მოძრაობის შესახებ და გავეცანით რა მშრომელ ქალების წარსულ მდგომარეობას, აგრეთვე იმ მიზნებს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას დაუსახავს ქალთა განსანთავისუფლებლად, სულით და გულით მივესალმებით საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელ ხალხის როგორც მამაკაცის ისე დედაკაცის ინტერესების თანაბრად დამცველს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელ უპარტიო ქალთა ყრილობას.

ამიერ კავკასიის ყრილობის დელეგატებათ აირჩიეს სამი ამხანაგი, ლილინა ზინოვიევისა, ლალანაია და მათიკო მეტრეველი. შემდეგ კრება დახურულ იქნა.

**სერგო ზარნელი.**

### სენაკის მაზრა.

შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის ორ მაისს სენაკის სამპროფ ბიუროს გამგეობის მიერ იქნა დაჯარიმებული, თანახმად შრომის ინსპექტორის წარმოდგენილ ოქმებისა შემდეგი პირები (მეწაღეთა დუქნების მეპატრონენი):

თითო მილიონი მანეთით: 1. გაბელია ლადი, 2. ყურაშვილი პეტრე, 3. როგავა ფილიპე.

ხუთასი ათასი მანეთით: 1. კიზირია სიმონი, 2. ჭითავა ალექსანდრე, 2. სიჭინავა მელიტონი.

**პრეზიდიუმი.**

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### წყალის მიწოდების განაწილება რაიონების მიხედვით.

**ქალ. თბილისში 1 ივნისიდგან.**

**1. ქვეითა ზონა.**

1) 7 ს. დილის—1 ს. დღით—კუკიის რაიონი ფეიერვერკის ქუჩიდან ნეკრასოვის ქუჩამდე.

2) 1 ს.—7 ს. საღამოს—რაიონები ბარიატინის ქუჩისა და სომხების ბაზრისა.

3) 7 ს.—12 ს ღამის—რაიონი რიყისა, ვარანცოვის ქ. და ხარფუხისა.

4) 12 ს. ღამის 7 ს. დილით დიდუბის რაიონი ფეიერვერკის და პიროგოვის ქუჩებიდან.

**2. ზევითა ზონა.**

1) 7 ს. დილით 2 ს. დღით—რუსთაველის, მამადავითის და სოლოლაკის რაიონები.

2) 2 ს. დღით—9 ს. საღამოს—ვერის, ვაკეს და საბურთალოს რაიონები.

3) 9 ს. საღამოს—2 ს. ღამის—რკინის გზის გაღმა და ავლაბრის რაიონები ჩერნომორის ქუჩამდე.

4) 2 ს ღამის 7 ს. დილის ნავთლუღის და ცხენების რაიონებში.

ზემო მოყვანილი განრიგება სავალდებულოა ყველასათვის 1 ივნისიდან. ამიტომ არავინ არ უნდა მოითხოვოს წყალსადენის განყოფილებისაგან წყლის მიწოდება რიგის გარეშე რაიონის განრიგებისა, გარდა ცეცხლის მქრობელ რაზმისა. აქ ნაჩვენებია საათები წყლის გაშვებისა მთავარ მაგისტრალებიდან, თვით მიწოდება ქ. წყლისა რაიონში ცოტა დაიგვიანებს მუდამ ვინაიდან ეს დამოკიდებულია რაიონის სიშორეზე და წყლის წნევაზე.

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე **წივწივაძე**


## ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების გაერთიანებულ რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს მგზავრების საყურადღებოდ, რომ იმ პირთათვის უფრო მოხერხებული მგზავრობისათვის, რომლებიც მგზავრობენ ბათუმ ბაქოს შორის კვირაში ერთხელ ივლის ჩქარი მატარებელი № 1—2. გამოვა ბათუმიდან № 1 ხუთშაბათობით 12 ს. 45 წ., მოვა თბილისში პარასკეობით 6 ს. 05 წ., გავა თბილისიდან პარასკეობით 10 ს. 30 წ. განჯაში მივა პარასკეობით 20 საათსა 42 წუთ. წავა იქიდან 20 საათსა 57 წუთ., მივა ბაქოში შაბათობით 11 საათსა 12 წუთ. გამოვა ბაქოდან მატარებელი № 2 კვირაობით 13 ს. 25 წ., მოვა განჯაში ორშაბათობით 5 ს. 15 წ. და იქიდან 5 ს. 30 წ. გამოსვლით მოვა თბილისში ორშაბათობით 14 ს. 5 წ. გავა თბილისიდან ორშაბათობით 18 ს. 25 წ. და მივა ბათუმში სამშაბათობით 14 ს. 00 წ. მატარებელი შესდგება სამი საუკეთესო რბილი და სამი მაგარი ვაგონებიდან. ყველა ადგილები დანომრილია, არის საწოლი ადგილები, ამასთანავე მთელი მატარებელი მოწყობილია ელექტრონით. მატარებელს ახლავს ვაგონი რესტორანი ცხელი და ცივი საუზმეთი. მგზავრებისთვის უფრო მოსახერხებლად გასვლის პირველ დაწყებით პუნქტებში შემოღებულია წინასწარი ჩაწერა ბილეთების წინასწარი გაყიდვით, როგორც რკინის გზის ისე ქალაქის სადგურებზე.

3—1

## ტეხნიკუმის მათემატიკის მასწავლებელი

ივ. მარ. მაჩაიძე (ყოფ. გიმნაზიის გამგე და დამაარსებელი)

**ა მ ზ ა დ ე ბ ს**

მოწაფეებს შემოდგომის გამოცდებზე: მე-5, 6, 7, 8 კლ. შესასვლელად და მოწმობაზე. აგრეთვე იძლევა გაკვეთილებს—მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25—5. ჩაწერა 3—6 ს.

(1—1)

## გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

გრძელდება ხელის მოწერა თბილისის ყველა გაზეთებზე ივნისისათვის. ხელის მოწერის ფასი იგივეა რაც იყო წინად. ხელის მოწერა შეიძლება ყოველ დროს წლის ბოლომდე, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ხელის მოწერის ფასმა აიწია, დამატებითი ღირებულებაც შემოტანილ უნდა იქნას. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი თვეებისათვის. იმ ხელის მომწერთ, რომელნიც ხელის მოწერის ფასს არ შემოიტანენ 30 მაისამდე, გაზეთების მიწოდება შეუწყდებათ.

## ქალ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ის სახლები, რომლებიც მეპატრონეების მიერ არ გატარებულა რეგისტრაციაში, გამოცხადებულ იქნებიან უპატრონოთ და ქალაქის ხელში გადავლენ.

აღმასკომი უკანასკნელად აფრთხილებს მეპატრონეებს და წინადადებას აძლევს მათ, რათა შეეცადონ თავის სახლები რეგისტრაციაში გაატარონ ამა წლის 20 ივნისამდე, რომლის შემდეგაც განცხადებების მიღება შეწყვეტილი იქნება.

(2—1)

## გაზეთის ტრესტი
### რკინის გზების კიოსკების განყოფილება

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

გაიხსნა კიოსკები რკინის გზის შემდეგ სადგურებზე: **თბილისი, მიხაილოვი, შორაპანი, ზესტაფონი, სამტრედია, აბაშა, ახალ სენაკი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი.**

სწარმოებს გაყიდვა: ადგილობრივ და სატახტო ქალაქების **გაზეთების და ჟურნალების, ლიტერატურულ წიგნების, საკანცელარიო და საწერ ნივთების.**

ამ დღეებში გაიხსნება კიოსკები აზერბეიჯანსა და სომხეთში.

მთავარი კანტორა იღებს გასავრცელებლად ყოველგვარ გამოცემას.

## საქართველოს ს. ს. რ. სახ. მეურნეობის უ. ს.
## სპირტ-კონიაკის და არაყის სახელმწიფო ტრესტი

### ჰყიდის ბითუმად
**ყველა ქარხნების სპირტის, კონიაკის და არაყის ნაწარმოებს.**

### ჰყიდულობს
**ქარხნებისათვის საჭირო ნედლ მასალას.**

საწყობები მოთავსებულია ტრესტის ქარხნებთან

**ტფილისში:** 1. ყოფილ დ. ზ. სარაჯიშვილისა—ოლღას ქ. № 30.

2. ყოფ. „არვო" ნიკოლოზის ქ. № 13.

3. ყოფ. კალანდაძისა (სეილანოვისა) ვაგზლის ქ.

**სადგ. გომში** (გორის მაზრა)

4. ყოფ. სოლომონოვისა.

**ხოფ. აბასთუმანში** (ზუგდიდის მაზ.)

5. ყოფ. პროცერისა.

**ტრესტის მისამართი:**

ტფილისი, პუშკინის ქ. № 3.

**გამგეობა.**

3—2

## შაბიამანი

საუკეთესო ხარისხისა იყიდება ქიმიურ ქარხანა „ატომ"-ში ელისაბედის ქ. № 204.

2—2

## დ ა ი კ ა რ გ ა

მატრიკული № 3217 სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის მსმენელის ელენე თენიეშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)

**დ ა ი კ ა რ გ ა**: უვადო პასპორტი მიღებული ოზურგეთის თვით-მართველობიდან 1921 წ. 10 მაისს. № 181. პავლე ესტატეს ძე ლომაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად

(1—1)

**დ ა ი კ ა რ გ ა** სახელმწიფო თეატრებში შესასვლელი ბილეთი (ბენუარი—ლოჟა № 6), მიცემული 1922 წლის 26 აპრილს პროფკავშირთა საბჭოს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)


# საქ. წითელი ახალგაზრდობის ფურცელი № 36

**ორგანო საქართველოს ახალ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა.**

## მ ო წ ო დ ე ბ ა

### ყველა ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობისადმი.

ამ უკანასკნელ ხანებში ევროპის ყვითელ პრესაში მოთავსებულ იქნა საქ. ახალგაზრდა მენშევიკთა მოწოდება სად-ც უკანასკნელნი მიმართავდენ განათლებულ ქვეყნების ახალგაზრდობას, რათა ის დაეხმაროს მას ზნეობრივ მფარველობის გაწევაში ვითომდა საქართველოს შევიწროებულ და ტერორის ქვეშ მყოფ ახალგაზრდობის სახსნელად. ახალგაზრდა მენშევიკთა ასეთ პროვოკაციულ მოწოდებაზე ჩვენ, აშკარა გამომხატველი საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის სურვილების და ინტერესებისა, აღშფოთებული ვითარების საძაგელი დამახინჯებით, მთელი მსოფლიოს მშრომელი ახალგაზრდობის წინაშე ვამბობთ, რომ ეს არის მიუტოვებელი სიყალბე და საუკეთესო მასალათ გამოდგება მხოლოდ პუან კარესთვის და ევროპის გამძღარ ბურჟუაზიისათვის მრავალგვარი კამპანიების, ინტერვენციის და სხვ. საწარმოებლად საქართველოს დაცვის საბაბით. საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის თორმეტი ათასიანი ორგანიზაციის სახელით ვაცხადებთ, რომ მთელი შეგნებული, რევოლიუციონური ნაწილი მშრომელი ახალგაზრდობისა, საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის გავლენის და პირდაპირი ხელმძღვანელობით გულითადი მომხრე და დამცველია მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის და საბჭოთა ხელისუფლებისა, ის ენერგიულათ იბრძვის შრომის ფრონტზე სასოფლო მეურნეობის და ქვეყნის მრეწველობის აღსადგენად და საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის დასახმარებლად. ამას ნათლად ამტკიცებს ის განწყობილება მშრომელი ახალგაზრდობისა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, რომელიც არსებობს დღიდან საბჭოთა წყობილების დამყარებისა საქართველოში და განსაკუთრებით ის უზომო რეზოლიუციები და პროტესტები, რომელიც გამოაქვს მას დღეს ახალგაზრდა მენშევიკების ასეთი პროვოკაციული ფაქტის გამო. დიდ უმნიშვნელო ნაწილმა ახალგაზრდა მენშევიკებისა, რომელიც არიან დაახლოვებული ემსახურონ მსოფლიოს მტაცებლურ კაპიტალს მის ბრძოლაში რევოლიუციის წინააღმდეგ—აწარმოოს შემდეგშიც ასეთი უგბილო და ყოვლათ სამარცხვინო პროვოკაცია. მათ დაუჯერებს მხოლოდ ის ნაწილი თეთრ სტუდენტური ახალგაზრდობისა, რომელიც ამას წინეთ მთელი ძალღონით შლიდა პირველი მაისის დღესასწაულს ვარშავის და ევროპის მრავალ ქალაქთა ქუჩებზე. ნამდვილი რევოლიუციონური მშრომელი ახალგაზრდობა კი პროლეტარული რევოლიუციის, მესამე ინტერნაციონალის სალ ნიადაგზე დგას და ყურსაც არ ათხოვებს ახალგაზრდა მენშევიკების მორიგ პროვოკაციას, რომელიც აშენებულია პროლეტარული რევოლიუციის მტრობის, მისგან აშკარად განდგომის და მისი დაღუპვის ნიადაგზე.

**საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი.**

ქ. თბილისი.

18 მაისი 1922 წელი.

## რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა

**თბილისის რკინის გზის კვანძის მუშათა ახალგაზრდობის კონფერენციისა.**

ჩვენ, ახალგაზრდა მუშები თბილისის რკინის გზის კვანძისა, 15 მაისს შეკრებილნი ჩვენს კონფერენციაზე ვაცხადებთ ყველას გასაგონად, და განსაკუთრებით რევოლიუციის მტერთა, მუშათა კლასის მოღალატე მენშევიკთა და მათ დამამშვენებელ ახალგაზრდა „მარქსისტთა" საყურადღებოთ, რომ წინააღმდეგ ამ უკანასკნელთა საზიზღარი პროვოკაციული ჭორებისა, რომელიც ვრცელდება კაპიტალისტურ ევროპაში, ახალგაზრდა მუშები საქართველოში მხოლოდ დღეს ვგრძნობთ ნამდვილ თავისუფლებას, რომ მხოლოდ დღეს საბჭოთა წყობილების პირობებში, გვეძლევა საშუალება განვითარების, ყოველ მხრივ განათლების, ეკონომიური ინტერესების საუკეთესო დაცვის და დღეს, ვადარებთ რა წარსულს ყოველივე მას რაც მუშათა ახალგაზრდობას მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ ვრწმუნდებით სულ უფრო და უფრო ყოფილ მენშევიკური ხელისუფლების მშრომელთა დამმონავებელ მოქმედებაში. უპარტიო ახალგაზრდობა ერთხმად ადასტურებს მას, რომ ის ვაჟბატონები, რომლებიც თავის თავს უწოდებდენ ახალგაზრდა „მარქსისტებს" არასოდეს და არსად არ იმყოფებოდა და არც იმყოფება ჩვენს ოჯახში, ჩვენს სამუშაო დაზგებთან. მათი ადგილია მხოლოდ გარყვნილების და მატყუარობის მორევში მყოფ ბურჟუაზიულ და თავად აზნაურულ მოწაფეობაში.

დროა უკვე ამ ვაჟბატონებმა დაანებონ თავი მუშათა ახალგაზრდობის სახელით ლაპარაკს.

ძირს ახალგაზრდა ცრუ მარქსისტები, ფინიები ბურჟუაზიისა.

**გაუმარჯოს მუშათა ახალგაზრდობას.**

**გაუმარჯოს ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს**

თბილისი. 15 მაისი.

## ვინ არიან?

გერმანელ მენშევიკების, შეიდემანელების გაზეთ „ფორვერტს"-ში მოთავსებულია ასეთი შენიშვნა:

**„გაიდელბერგიდან ჩვენ მოგვაწვდინეს მოწოდება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობისა, რომლითაც ის მიმართავს მთელი ქვეყნის განათლებულ კაცობრიობას და მშრომელ ახალგაზრდობას, რათა მათი პირდაპირი ჩარევით დაცულ იქნას ზნეობრივათ მაინც ძალზე შევიწროებული და ხაშინელ ტე-**

**როროის ქვეშ მყოფი საქართველოს ახალგაზრდობა".**

როგორც იქნა ცნობილი, რომ უმაღლესმა დოსტაქრებმა ლოიდ ჯორჯ—ბრიან შანცერებმა „გამონახეს" საუკეთესო საშუალება, გამოწერეს „ჯადოსნური" რეცეპტი, რომელიც გენუას სახით აცნობებს მთელი მსოფლიოს მრავალი წლის სანატრელი **მერცხლის მოფრენას,** მუდმივი „ბედნიერების" და „მშვიდობიანობის" დამყარებასო, ფიცხლად ახმაურ და ყველა და მათ შორის განსაკუთრებით რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციის რკინის ცოცხით გახვეტილი მტრები მუშათა კლასისა. დაწყებული ვრანგელ-სავინკოვიდან დ გათავებული მირონცხებული ამერიკ-ჟორდანიათი „იქნება მართლა გენუა იქცა საერთაშორისო, მუდმივ მშვიდობიანობის დამყარების ერთად ერთ საშუალებათ, ვაი თუ გენუაში წარმოდგენილმა საბჭოთა ფედერაციამ მიიღოს ეს „საჩუქარი", ყოველივე თავის „ნორმალურ" კალაპოტში ჩადგეს და ჩვენ კი, „კანონიერ" მთავრობათა წარმომადგენლები გენუის მოწყალებას მოკლებული დავრჩეთ". ასეთმა მწარე ფიქრმა გაუარა სხვათა შორის ამიერ კავკასიის მენშევიკურმუსავატისტურ და დაშნაკურ ყოფილ მთავრობათა ოფიციალურათ წარმომადგენელთ პარიზში, საფრანგეთის ბანკირების კალთის ქვეშ მყოფი საქართველოს „წარმომადგენლობა", ჟორდანია წერეთელი, ამბროსის გენერალური ხელმძღვანელობით—აი შტაბი ოცნებებით და მაცდურ ილუზიებით აღსავსე აზერბეიჯანის ბეგების, სომხეთის კაციჭამია შოვინისტების და ერეკლე მეფის („ლეილა") მოტრფიალეთა. და ამგვარათ უტყუარი გამარჯვების პერსპექტივებით თვრებოდენ. საქართველოს მენშევიკების საზღვარგარეთული ორგანო „თავისუფალი საქართველო" დაჟინებით სწერდა თავის აქ დარჩენილ მოძმეებს და დამწუხარებულ მეგობრებს, რომ „საბჭოთა გაზეთები არ იძლევიან ნამდვილ ცნობებს კანის დადგენილებათა შესახებ, საქმე ნამდვილად იმაშია, რომ კანაში საფრანგეთის უშუალო მოთხოვნით და ხელმძღვანელობით გადაწყვეტილ იქნა, რათა მომავალ გენუის კონფერენციაზე დაისვას მთელი თავის სიგანით კითხვა „დაპყრობილ" საქართველოს დაუყონებლივი ევაკუაციის შესახებ რუსეთის წითელ ჯარისგანო. სულ რამდენიმე თვეში საქართველოს ვიხილავთ ისეთს, როგორც წარსულ წლის „შავ 25 თებერვლამდე", მხოლოდ გენუის კონფერენციას სჭირია რაც შეიძლება ძლიერი ინფორმაცია საქართველოს ნამდვილ მდგომარეობის შესახებ, საზოგადოებრივი აზრი გენუის გახსნამდის სავსებით უნდა მომზადდეს, ამიტომ საჭიროა შექმნა ისეთი მდგომარეობის, მომზადება ყოველგვარი საშუალებით ისეთი ატმოსფერის, რომელიც დაარწმუნებდა ევროპის მართველებს, რომ საქართველო უცხოა ბოლშევიზმისათვის, რომ ის აჯანყების მხარეთაა გადაქცეული და სხვა... ამგვარი დირექტივებით შეარაღებულმა მენშევიკურმა პარტიამ გაცხარებული მუშაობა დაიწყო. საქართველოს მუშებისაგან და გლეხებისაგან ზურგ შექცეულებმა, მენშევიკებ ფედერალისტებმა, რომლებმაც ეხლა ცივი უარი მიიღეს საქ. მუშებისა და გლეხებისაგან ყოველ გვარ მახინაციებზე და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლაზე, მიმართეს ჩქარ ფარე შოვინისტური სისხლით აღსავსე მოსწავლე ახალგაზრდობას. „თავისუფალ საქართველოს" მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება თავს იდვა საქართველოს ინტელიგენციამ, დიდი პროცენტით ჯერ კიდევ სავსებით ნორჩმა, უკეთ, ცელქმა ბავშვმა გაურკვეველი პოლიტიკურ მრწამსით, შევარდენის ლოზუნგით („გუშაგომ ერს") გატაცებულმა, და, ნაცვლად დედა-ენის, პირველ დაწყებითი არითმეტიკის სახელმძღვანელოს ტარებისა, დაიწყო **საქ. სოც დემოკრატიულ პარტიის ცეკას** მიერ გამოშვებული სხვა და სხვა საპროვოკაციო ფურცლების, მოწოდებების ტარება და „გულ დასმით" მათ შესწავლას შეუდგა. ცდამ „ნაყოფი" გამოიღო და 11 თებერვალს თბილისის მოწაფეებმა ამხ. მაშის სიტყვებით რომ ვსთქვათ „გენერალური ბრძოლა აწარმოვა თბილისის ქუჩებზე". იმ დღესვე იტალიის რადიომ მთელ მსოფლიოს აცნობა თბილისში დაწყებულ „გრანდიოზულ გამოსვლების და ხოცვა ჟლეტის შესახებ" დღევანდლამდე ხან აშკარათ უსირცხვილოთ, ხან ფარულათ რაღაც „დიდ" მუშაობას ეწევიან კიდევ, რათა მოემზადებიათ ევროპის საზოგადოების აზრი საქართველოს კითხვის დადებით გადასაჭრელათ და ჩიჩერინის „გატეხილ გობის წინ დასაყენებლათ". თუ რა

მოხდა გენუაში, ვინ დადგა გატეხილი გობის წინ, ვინ რა მოიგო, ვის ასტკივდა კიდევ ძალზე მუცელი, როგორ „იხსნა" მადლიანმა პუანკარემ და ლოიდ-ჯორჯმა ლენინის „ექსპერიმენტებისა" და ბოლშევიზმის სენისაგან საქართველო — ეს ყველაზე უფრო ამეროს—ჟორდანიებმა იციან. ჩვენთვის საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობისათვის ყველაზე მეტათ საინტერესო გახდა მიგვექცია ყურადღება იმ მოწოდებისათვის რომელიც „ფორვერტსი"-ს ფრთით გამოშვებულია საქ. სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობის მიერ მთელი განათლებული—კაცობრიობის და მშრომელი ახალგაზრდობის მიმართ გენუის კონფერენციის მუშაობის დროს, სადაც თურმე საქ. მენშევიკური ახალგაზრდობა იხვეწება რათა ყველა ჩაერიოს საქართველოს საქმეებში და მოსთხოვონ საქ. საბჭოთა მთავრობას პასუხი იმ ეკონომიურ ყვლეფისათვის, საშინელი ტერორისათვის, რომლის ქვეშ „დრტვინავს" საქ. მშრომელი ახალგაზრდობა. თუ რა პოლიტიკური ფიზიონომიის ხალხია ახალგაზრდა სოც.-დემოკრატები (წაიკითხეთ ახალგაზრდა მენშევიკები), ახალგაზრდა „მარქსისტებათ" წოდებულნი, კარგათ იცის საქართველოს იმ მშრომელმა ახალგაზრდობამ, რომლის არამკითხე ოპეკუნებათ გამოდიან მორალურათ და ინტელექტუალურათ გაკოტრებული შოვინიზმის აშმორებულ ჭაობში ჩაფლული „მარქსისტები"*) ახალგაზრდა „მარქსისტების" ნამდვილ ბუნების ნათელსაყოფათ ჩვენ ბევრი გვიწერია, გვილაპარაკნია და ეხლა არ მივცემთ თავს ნებას, რომ კიდევ დიდხანს ვისაუბროთ და მათი სახელის ალმჭიდვით შეურაცხვყოთ პატივცემულ გაზეთის ფურცლები. როდესაც „ფორვერტსი", გერმანელ მენშევიკობის ინსინუატორული ორგანო, ბეჭდავს მათ მოწოდებას და ერთგვარ ალტაცებით კომინტერიებსაც უკეთებს მას, ჩვენ მაშინ ვიმეორებთ სპინოზას სიტყვებს. „Не смеяться, не плакать, а понимать" დიახ საქართველოს, როგორც მათგან დიდათ შორს მყოფმა მუშათა, ისე მათთან შეგუებულმა მოსწავლე ახალგაზრდობამ გაიგოს კიდევ ერთხელ თუ ვინ არიან ახალგაზრდა სოც.-დემოკრატები. ჩვენ მივმართავთ და ვეუბნებით აქ დარჩენილ ყიასაშვილებს, ჩიჩუებს და ევროპაში მყოფ მიხელიძეებს (მოწოდების ავტორებს) ვინა ხართ, ვისი სახელით ლაპარაკობთ საქართველოს მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიურ დამონებაზე, საშინელ ტერორზე და როგორ ბედავთ მიმართვას მსოფლიოს **მშრომელ ახალგაზრდობისადმი**, როდესაც მათსა და თქვენ შორის ამოუვსებელი უფსკრულია გათხრილი. რა გაქვთ საერთო თეთრ ხელთათმანიანებო გერმანიის საფრანგეთის, ინგლისის და გინდ საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების ჭვარტლში გათხუპნულ ახალგაზრდობასთან. განა თქვენს სამოწყალო ორიოდე ათასიან „ორგანიზაციულათ" შეკავშირებული მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზაციაში მოგეპოებათ უმნიშვნელო პროცენტი იმ ახალგაზრდობისა, რომელსაც თქვენ ეპატრონებით? გაიგეთ, რომ თბილისის მთავარ სახელოსნოში სულ ერთი თუ ორი წევრი გყავთ. განა გქონიათ ოდესმე მათთან ან თქვენ და ან თქვენ წინაპრებს კავშირი მსოფლიოს რომელიმე კუთხეში? მოიგონეთ და თუ არ იცით წაიკითხეთ დასავლეთ ევროპის მუშათა ახალგაზრდობის 50—წლიანი მწარე ისტორია, სადაც შავი ასოებით ამოიკითხავთ **დანენბერგების** და მისი ამხანაგების მოღალატურ, ოპორტუნისტულ გამცემ მოქმედებებს, რისთვისაც ფაქტიურათ 1907 წლიდან შტუტგარდის კონგრესზე სამარცხვინო განაჩენი გამოტანილ იქნა თქვენი ტიპის ხალხზე, გაიგებდით, რომ პირველათ იმ გერმანიაში, სადაც იმყოფება ჭორთა შტაბი საქ. ახალგაზრდა სოც. დემოკრატებისაც სახელოვან (და იმავე „ფორვერტსის" სულის ჩამოდგმელთა წყალობით მხეცურათ მოკლულ) კარლოს ლიბკნეხტის მეთაურობით უკანასკნელამდე ჩამოგშორდით ამ ქვეყნის მუშათა ახალგაზრდობა. გავიხსენოთ სულ მცირე 3 წლის ისტორია საქ. მენშევიკური პარტიის დემოკრატიულ „ოაზისის" განცხრომაში მყოფ ახალგაზრდობის მდგომარეობისა. ჩვენ არ ვახსენებთ აქ ჩვენი ქვეყნის მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიურ მდგომარეობას. რადგან ბრმამაც იცის თუ როგორი იყო მაშინ დაცული ამ ახალგაზრდობის დაზღვევა, სამუშაო დროის განსაზღვრა, პროფტეხნიკური განათლება და სხვა უპირველესი საჭიროებანი. ჩვენ მოვაგონებთ ამ ახალგაზრდობის მხოლოდ პოლიტიკურ ვითარებას. მისი გამაერთიანებელ და პირდაპირი ინტერესების გამომხატველ კომუნისტური ახალგაზრდობის მდგომარეობას. დავხედოთ ვინ ვის მიმართ ეწეოდა საშინელ ტერორს, კედიას განსაკუთრებულ რაზმის აგენტები, ან პეტრე დიდის ქუჩაზე მდებარე გამასწორებული სახლი, ვინ გაუსწორდა მხეცურათ 1920 წლის 1 მაისის თბილისის მუშათა ახალგაზრდობის დემონსტრაციას, ვინ გარეკა ამავე წლის 26 აგვისტოს მოწვეული საქ. კომუნისტური ახალგაზრდობის ყრილობა და მისი ხელმძღვანელები „ოაზისიდან" გააძევა. ვინ სდევნიდა და ავრცელებდა საშინელ ტერორს ამ ორგანიზაციაზე ერთიანათ და კერძოთ მის მეთაურზე თუ არა კედიას განსაკუთრებული რაზმი. ვინ აწამა მხეცურათ მენშევიკურ პარტიის მიერ საქართველოს გაცარცვის უკანასკნელ წუთებში ჩვენი საუკეთესო ამხანაგები აბაიძე და სხვ. სად იყო მაშინ **ზნეობრივი** დაცვა ამ ორგანიზაციისა და კანონიერების შემოღება მისი მიმართ? არა ეს არ შეეძლო ექნა აქ გაბატონებულ პარტიას. განა იმიტომ არის საბჭოთა მთავრობა დამნაშავე, რომ მან მოაგვარა მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობა, მტკიცეთ განსაზღვრა მისი სამუშაო დრო, გახსნა მრავალი წერა კითხვის სალიკვიდაციო სკოლები მათთვის, აკრძალა მცირე წლოვანთა მუშაობა, ფაბრიკა ქარხნებში გაატარა 4 და 6 საათის სამუშაო დრო და პირადათ თქვენ გასული წლის გაზაფხულში დაგრთოთ ნება თავისუფლათ მოგეწვიათ ახალგაზრდა „მარქსისტთა" კონფერენცია ისე, რომ არავის შეურაცხყვია მისი ინტერესები. საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა და მისი ხელმძღვანელი ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი შესძლებს დაანახოს „განათლებულ კაცობრიობას" და განსაკუთრებით მშრომელ ახალგაზრდობას ის ზნეობრივი ძირდაცემა, სიყალბე და სრული იდეური სიკოტრე ახალგაზრდათა იმ ორგანიზაციისა, რომელსაც ეძახიან ახალგაზრდა „მარქსისტებს".

**დ. გ.**

*) ჩვენ ფურცლის გვერდზე არ გვაქვს საშუალება უფრო ღრმად განვიხილოთ მათი მარქსისტული რეციდივიზმი, რომელზედაც შემდეგ.

# მამების მსგავსათ

დადგა გაზაფხული და მოიტანა თან სიმშვენიერებანი გაზაფხულისა. გაზაფხული ეს მომავლის რწმენაა. ის ყველას სწამს, თვით დრომოჭმულ კაპიტალისტებსა და თეთრგვარდიელ კონტრ-რევოლიუციონერებსაც, რომელსაც ისტორიამ გამოუტანა უკვე სასიკვდილო განაჩენი. ჩვენთვის გაზაფხული მომავლის რწმენაა ეს კარგათ იციან ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა და სისხლში გვეღივით, ცდილობენ რა კიდევ და კიდევ უკბინონ ისედაც დამშეულ და გაშიშვლებულ მუშებს და გლეხებს საბჭოთა ფედერაციისას. კონტრ-რევოლიუციის დედებთან ერთად კიდევ არ ტოვებენ ყეფას ჩვენებური მენშევიკური ფინიებიც. დღეს ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ ძნელათ გაერკვევა შეგნებული მუშა და გლეხი იმ კომბინაციებში, რომელთაც ქმნიან მენშევიკები პუანკარეს კაბინეტში, საქართველოს „ხსნის" საფარით. მათ უმეტეს ხმაელია ყოველივე ეს, რადგან სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე, მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელმა, მეფის მინისტრმა **ე. ვანდერველდემ** ასე ერთგულათ დაიცვა „საქართველო", საფრანგეთის მოჭიდავე ხარმა ბარტუმ როგორც „სწავლულმა თუთიყუშმა" იმეორა ვანდერველდეს ზღაპრები გენუის კონფერენციაზე. „სოციალისტმა" მეორე ინტერნაციონალის პირველ ხარისხოვან ხელმძღვანელებიდან და „მშვიდობიანობის" დამამყარებელმა საფრანგეთის მტაცებლურ მთავრობის ბანკირმა მონახეს საერთო შეხმატკბილებული ენა, ერთიანი ფრონტი, რომ ყოველ გზა-ჯვარედინზე მოეხდინათ გალენა საბჭოთა ფედერაციის დელეგაციაზე საქართველოში წარმოებულ „აჯანყების" და მისი ბოლშევიზმისაგან „განთავისუფლების" შესახებ. შეერთებულ ხმას პუანკარე ვანდერველდედან გათავებული პეტლიურა ჟორდანიათი, შეუერთდა ხმა ჩვენი „შეურაცხყოფილი" ახალგაზრდა „მარქსისტებისა". ესენი უგზავნიან თავიანთ მოწოდებებს განათლებული მსოფლიოს მშრომელ ახალგაზრდობას და ვინ იცის რას არ ჩმახავენ მასში. საინტერესოა თუ ვის ეყრდნობიან ეს ვაჟბატონები რომ დაეხმარონ მათ გამოსვლებში „სასტიკ ტერორის" ქვეშ მყოფ საქართველოს ახალგაზრდობის ზნეობრივ დაცვის საქმეში. ვკითხოთ ამ ყოველ მხრივათ გაკოტრებულ ხალხს, რომელ ახალგაზდაზე მღერით. მაგრამ ჩვენ ვიცით მდგომარეობა ახალგაზრდა „მარქსისტების", როდესაც მამები აძლევენ მათ ისეთ ამოცანებს, რომლის გადაწყვეტის ცდაში უნდათ გამოიჩინონ თავი. სად იყავით ახალგაზრდა „მარქსისტებო", კაცთ მოყვარე „სოციალისტებო" მაშინ, როდესაც მენშევიკების ბატონობის დროს როდესაც მხეცურ ტერორის ქვეშ იმყოფებოდა საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა? რისთვის არ მოუწოდებდით „განათლებულ კაცობრიობას" ზნეობრივი მფარველობის გასაწევათ ამ დაჩაგრულ ნაწილზე ქართულ საზოგადოებისა თქვენ იმდენათ გულმავიწყნი არა ხართ, რომ გემახსოვრებათ სისხლით მორწყული ველები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების, სადაც თქვენი მამები, გვარდიის ნერონები, სტკბებოდენ ამ უსამართლობის სანახაობით. წინააღმდეგ აჯანყებულ ახალგაზრდა მუშ. და გლეხ. მოქმედებდა კაიზერის ჰაეროპლანები. თქვენ გახსოვთ პირველ მაისის დემონსტრაცია ახალგაზრდა მუშებისა ქ. თბილისში 1920 წელში, როდესაც საგრძნობლათ დაიხარჯეთ თქვენ და თქვენმა მამებმა, იხმარეთ რა ყოველგვარი ღონისძიებანი დაწყებული ცემა ტყეპით, კედიას რაზმელების მაუზერებით თავის გატეხვით და გათავებული დახვრეტა გადასახლებით იმ ახალგაზრდა მუშების, რომელთა ინტერესების ცხოველ დამცველათ გამოსვლას ბედავთ მთელი „განათლებული კაცობრიობის წინაშე." (!!) თქვენ გახსოვთ ალბათ თქვენი ბოროტი საქმეები განსაკუთრებულ რაზმში **მეფის ბოქაულ კედიასთან ერთად.** თქვენ არ დაგვიწყებიათ ის ციხეები, სადაც კედიას ამწყვდევინებდით სწორეთ ამ ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს. თქვენ გახსოვთ ეჭვს გარეშეა 1920 წლის 26 აგვისტო, საქ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ყრილობა, რომელზედაც თქვენ რამოდენიმე საათში დაინახეთ, რომ ჯერ ქვეშ მყოფი ორგანიზაცია ს. ა. კ. კ. თქვენზე ძლიერია და თქვენი სურვილით მოურიდებელათ **გარეკეთ ის**, მაშინ როდესაც, როგორც გახსოვთ, წარსულ წელს საბჭოთა მთავრობამ დაგრთოთ თქვენ ნება საკუთარი ყრილობის თავისუფლათ მოწვევისა და არც არავინ ჩაგრევიათ მის მუშაობაში, საბჭოთა მთავრობამ, ის არ გარეკა მსგავსათ **რამიშვილისა.** თქვენ გახსოვთ, ალბათ ყველაზე უფრო, ცნობილი **ჟანდარმი გოგუაძე**, რომელმაც თქვენი და თქვენი მამების მიერ საქართველოს გაცარცვის უკანასკნელ დღეებში მხეცურათ დახვრიტა ჩვენი საუკეთესო ამხ. **აბაიაძე.** მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა, ვიმეორებ, თქვენ არ სძრავდით კრინტს ამ გაწამებული ხალხის ზნეობრივ დაცვაზე. ეხლა კი ტომხრე ხართ ევროპაში მოკალათებულნი თქვენ უფროსს ავაზაკებთან ერთად ასეთ ინტერვენციის, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის. ამაზე ნურას უკაცრავათ. ეხლა გვითხარით, ვისი პატენტით ლაპარაკობთ ასე ხმა მაღლა. გაგვაგებინეთ თქვენი „ორგანიზაციის" სოციალური შემადგენლობა. რისთვის აძლევთ ნებას თქვენს თავს საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის სახელით ლაპარაკისა, როდესაც მათთან არავითარი საერთო აღარა გაქვთ. დაგვისახელეთ, რომელი ახალგაზრდობა იმყოფება საშინელი ტერორის ქვეშ, სად, როდის? თქვენ ვერ იტყვით ამას რადგან, ასეთი არ ყოფილა. მით უმეტეს ვერ გაბედავთ იმათ შესახებ ტერორის გავრცელებას, ვისი სახელსაც იპარავთ აშკარათ, **ამ შემთხვევაში მატყუარები ილებენ ჭუთ ცნილ სიჩუქრებს.** ჩვენ არ გვჭირია მეტი ლაპარაკი ამ სიცრუის ნათელსაყოფათ. ესეც მეტია. ღირსეული პასუხი მიიღეთ ამ დღეებში თბილისის რკინის გზის კვანძზე მომუშავე **უპარტიო ახალგაზრდათა კონფერენციისაგან.** ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ყოველივე ნდობა დაკარგულმა მენშევიკებმა გაუშვეს თავის საბარგულიში დარჩენილი უკანასკნელი სიბინძურეც. ჩვენ რასაკვირველია არ ვივიწყებთ მას, რომ თქვენ გიმაგრებს ზურგს წუთიერ „ლირიკულ" განცდებში, თბილისის ქუჩის მტკეპნელი ახალგაზრდობა შევარდენში მოკალათებული „Хорошо пташечки запели, чтобы вас кошки не с'ели". ოქტომბრის სპ ლოკი მიისწრაფვის წინ მაგრათ, რომელსაც ველარაფერს დააკლებს მენშევიკური ფინია. მხოლოდ როდესაც გაიგებს კი ყოველივე ამას მსოფლიოს პროლეტარული ახალგაზრდობა—(ვისაც თქვენ გაუგზავნეთ მოწოდება), მთელ სიყალბეს თქვენი ცნობებისას, საზიზღროებით მიგაფურთხებს სახეში.

**დევდარიანი.**

# რაშია საქმე?

პროვოკაცია და ცილისწამება ყოველთვის წარმოადგენს ბრძოლის უკანასკნელ საშუალებას ყოველივე ღონე გამოცლილ და აშკარა რღვევის პროცესში მყოფ პოლიტიკურ პარტიისათვის. მაგალითად მენშევიკური

პარტია და მისი უმცროსი ძმები ახალგაზრდა „მარქსისტები". (ახალგაზრდა მენშევიკები), როგორც ერთ დროს ყურადღების „ღირსი" პოლიტიკური ორგანიზაციები, დღეს ავსებენ უმსგავსო და სამარცხვინო ცილისწამების აქტებით „როულ-უფლებიან" წარმომადგენელთა ჩემოდნებს, რომლებზედაც „სამწუხაროთ" დღეს დიდი მოთხოვნილებაა კაპიტალისტურ და ყვითელ ინტერნაციონალურ ბაზრებზე.

მორიგ და მასთან ერთად ძვირფას, ჩვენთვის ამანათად უნდა ჩაითვალოს მოწოდება საქ. ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა, ცივილიზაციურ ქვეყანათა ახალგაზრდობისადმი, რათა დაცულ იქნას საქართველოს ახალგაზრდობა იმ მხეცურ პირობებისაგან და არ ნახულ ტერორისაგან, რომელსაც მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში. „ფორვერტსი" და მთელი ყვითელი პრესა ხარბათ დაეწაფა ამ „ძვირფას" საქონელს, ფიქრობს რა, რომ შეასრულებს ამის შემწეობით მნიშვნელოვან პოლიტიკურ სპეკულიანტის აქტს. მაგრამ ხმა საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობისა იტყვის თავის ნამდვილ სიტყვას და მოაწესრიგებს ყოველივეს. რომელ დაჩაგრულ ახალგაზრდობაზე სწარმოებს აქ საუბარი? მთელი შეგნებული, რევოლიუციონური ნაწილი მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობისა ყველასათვის ცხადია, რომ მიდის ხელიხელ ჩაკიდებული საქ. ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირთან, იღებს რა ცხოველ მონაწილეობას ყველა კამპანიებში რესპუბლიკის ეკონომიური აღორძინებისათვის. მიუხედავათ მატერიალურათ უზრუნველყოფის ნაწილობრივ მოწესრიგებისა, საქ. მუშათა ახალგაზრდობა, წარმოების სხვა და სხვა დარგებში გაფანტული სავსებით შეგნებულათ იღებს მონაწილეობას სოციალისტური ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებისათვის.

მაგრამ შეიძლება აქ ლაპარაკი იყოს შოვინისტური ახალგაზრდობის იმ დაბრმავებულ ჯგუფებზე, რომლებიც მოუწოდებდენ 11 თებერვალს ტეხნიკუმების და შრომის სკოლების მოწაფეებს გაფიცვისთვის, რომელიც იქნებოდა საბჭოთა წყობილებისადმი პროტესტის ნიშანი. ეს ხომ მიუტოვებელია გამოიყენოთ „მარქსისტებო" პოლიტიკურ კაპიტალათ და გამოხვიდეთ საქართველოს მთელი, მშრომელი ახალგაზრდობის სახელით, მაშინ როდესაც თქვენთვის არავის მიუნდვია ეს. გიცნობთ, თუ როგორი თავგადადებული დამცველნი ხართ მუშათა ახალგაზრდობის ინტერესების, რადგან თქვენ იყავით და არა სხვა ვინმე, რომლებმაც „დაიცვა" 1920 წელს 1 მაისს თბილისის ქუჩებზე თბილისის მუშათა ახალგაზრდობა. საინტერესოა დიდათ მისამართი მოწოდებისა მთელი განათლებულ ახალგაზრდობისადმი. უეჭველია, რომ აქ არ იგულისხმება აღმოსავლეთის ქვეყნების ახალგაზრდობა. პეკინის, კალკუტას და აღმოსავლეთის ქვეყნების დანარჩენ ახალგაზრდობაზე არ ვრცელდება ეს მოწოდება, რადგან აქსიომათ არის „აღიარებული", რომ **აღმოსავლეთის ფანატიკებს ბევრათ სჯობია დასავლეთის იმპერიალისტები, რადგან შოუს მტკიცებით მხოლოდ ზოგიერთი ერებია** ღირსი თავისუფლების და არა ყველა. მაგრამ როგორც განათლებული ისე „გაუნათლებელი" ქვეყნების მშრომელი ახალგაზრდობა ახალგაზრდობის კომინტერნის ფარველობის და ხელმძღვანელების ქვეშ იმყოფება, მისი ყურადღება სწორეთ აქეთკენ არის მიქცეული. „არ ვარგა დიდხანს ხოლმე, ჰაერში ჩამოკიდებულათ ყოფნა უმჯობესია ძირს დაშვება", ლაპარაკობს პროფესორი ფული. ნუ აფუჭებთ ქაღალდს, რისთვის ტყვილა აცდენთ რადიო სადგურებს და რისთვის ცდებით თვით თქვენ დიდი საქმის ხალხნო ფანტასტიური ჭორების გავრცელებით. ულმობელმა ისტორიამ კარგა ხანია გაგაკრათ თქვენ და თქვენი მამები იმ სამარცხვინო ბოძზე, საიდანაც ვერ შესძლებს მოხსნას ვერც ვანდერველდე-პუანკარე და ვერც ამბროსი თავის საწყაულ მომქმედი ჯვრით. საქართველოს მშრომელ ხალხს, მის მშრომელ ახალგაზრდობას დაიცავს არა გაბოროტებული პოლიტიკანები, **არამედ მშრომელთა ძლიერი ნებისყოფა, რომელიც განმტკიცებულია დღეს საქართველოში.**

**შ—კო.**

# მოსკოვის სტუდენტობაში

## რეზოლუცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფების შესახებ, გამოტანილი მოსკოვის ქართველ სტუდენტთა საერთო კრებაზე (კრებას დაესწრო სტუდენტები: **ამხ. კომუნისტური უნივერსიტეტის, სვერდლოვის, მუშათა ფაკულტეტის, პროფ. შკოლის და სხვ. სასწავლებლებიდან**).

„მოსკოვის ქართველ სტუდენტთა საერთო კრებამ მოისმინა რა სპეციალური მოხსენება თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფების და წრეების „მოღვაწეობის" შესახებ და მიიღო რა მხედველობაში რომ 1) მენშევიკები და ფედერალისტები წინეთაც იყოლიებდენ სტუდენტთა ზოგიერთ წრეებს თავის სასარგებლოთ, რომლებიც ერთგულათ ემსახურებოდენ ქართველ ბურჟუა პეკულიანტებს თავისი ენერგიული მონაწილეობით ჩვენი პარტიის დევნაში, გლეხთა აჯანყებების ჩაქრობაში და სხვ., რომ 2), ამით მათ მეცნიერების ტაძარი გადააქციეს ბურჟ. ქვეყნის დამცველთა მოსამზადებელ „ქარხანათ", რომ 3), ისინი დღესაც არ ისვენებენ და ცდილობენ **უნივერსიტეტი** გახადონ **კონტრრევოლიუციის** კერათ, რაც გამოიხატება მთავრობის დადგენილებათა სისტემატიურ საბოტაჟში, საპროტესტო რეზოლიუციებში და სხვ., რომ 4) საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს იღებს სტუდენტთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, მაგრამ არიან რა მტრათ განწყობილი ჩვენს მთავრობასთან და სურთ მისი დამხობა, ეს წრეები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან მისი პრესტიჟის დასაცემათ, დაადგინა:

1) მიესალმოს საქ. საბჭოთა მთავრობას, როგორც ერთათ ერთ გამომხატველს მუშათა და გლეხთა ინტერესებისა და უსურვოს მას ნაყოფიერი მუშაობა კონტრრევოლიუციის ძირბუდიანათ აღმოსაფხვრელათ და რევოლიუციონური რიგების გასამაგრებლათ.

2) კერძოთ მისი მოქმედება დეკემბერში სტუდენტთა გამგეობის საკითხში ჩაითვალოს **კანონიერათ.** 3) გამოეცხადოს გაკიცხვა ყოფილ გამგეობას და ჩაითვალოს მისი მოქმედება კონტრრევოლიუციონურათ. ამასთან ერთად 4) მოსკოვის ქართველი სტუდენტობა—ქართველი, მუშების და გლეხების შვილები მოგესალმებით თბილისის უნივერსიტეტის ყველა პატიოსან სტუდენტებს—მშრომელთა წრიდან გამოსულებს და მისთვის მებრძოლებს და მოუწოდებს მათ არ აყვენ ქართველი **ნაციონალისტების** მენშევიკების და მემარჯვენე ესფერების ფეხის ხმას და აქტიურათ დაუჭირონ მხარი თავის მთავრობას ასეთ ელემენტებთან ბრძოლაში. გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას! გაუმარჯოს თბილისის წითელ უნივერსიტეტს! ზიზღი მისი ღირსების ჩირქის მომცხებელთ!

**მოსკოვის ქართველ სტუდენტთა გამგეობა.**

# მისალმება

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კომუნისტურ ფრაქციას.**

ძვირფასო ამხანაგებო! მოსკოვის ქართველი წითელი სტუდენტობა გიძღვნის თქვენ მხურვალე კომუნისტურ სალამს. ჩვენამდის მოაღწია ცნობამ რომ ზოგიერთი სტუდენტები ცდილობენ ყოველი ღონისძიებით სახელი გაუტეხონ ჩვენს მთავრობას და პარტიას, დასცენ მისი პრესტიჟი ხალხის თვალში, რისთვისაც აძლევენ კრებებს და გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები. ერთად ერთი ჯგუფი, რომელმაც შეებრძოლა უნივერსიტეტის კედლებში მათ, არის ჩვენი **კომუნისტური ფრაქცია**, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთელი უპარტიო სტუდენტობის სიმპატია საბჭოთა მთავრობისაკენ არის და თანაგრძნობით ეკიდებიან ჩვენს პარტიას. სტუდენტთა ერთ ნაწილს სურს უნივერსიტეტი გახადოს კონტრრევოლიუციის მიუვალ სიმაგრეთ. ჩვენ აქაც იერიშზე უნდა გადავიდეთ და ავლაგმოთ იმათი გამოსვლები, ამ შემთხვევაშიც, დავანგრიოთ იმათი საბუდარი. თბილისის უნივერსიტეტი უნდა იყოს **წითელი უნივერსიტეტი, მუშების და გლეხების უმაღლესი სასწავლებელი.** ამ მხრივ უნდა მიმართოთ თქვენ თქვენი მუშაობა, ჩვენ ღრმათ გვრწამს, რომ კომუნისტური ფრაქცია ბრწყინვალეთ შეასრულებს თავის დანიშნულებას და თავისი ბრძოლით გადააქცევს უნივერსიტეტს ნამდვილ მუშათა და გლეხთა უნივერსიტეტათ. გაუმარჯოს თბილისის უნივერსიტეტის წითელ სტუდენტობას, და კომუნისტურ ფრაქციას! გაუმარჯოს თქვენს დაუღალავ მუშაობას აღნიშნული მიმართულებით. გაუმარჯოს დროზე დამდგარს სწორ გზაზე მემარცხენე ფედერალისტთა ფრაქციასაც!.

მოსკოვის ქართველ სტუდენტთა **გამგეობა.**

მოსკოვი. 1922 წ.

# მიმართვა

**ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობისადმი**

[illegible] ლია რაც საქართველო გახდა მისი სამშობლო.

ქართველი მშრომელი ხალხი უკანასკნელ ენერგიას ხარჯავს, რომ ქვეყანა გამოიყვანოს იმ სილატაკიდან, რომელშიდაც ის ჩააგდო საერთაშორისო ომმა, და ყოფილი მთავრობის მიერ შოვინისტური პოლიტიკის წარმოებამ. ამ დროს კი ქართველი სტუდენტობის უმრავლესობა თავის „შეგნებით" და საზღვარ გარეთიდან მოსულ დირექტივებით შეიარაღებული, იერიშების მიტანას ცდილობს მშრომელთა სახელმწიფოზე. იყო დრო, როდესაც მოსწავლე ახალგაზრდობის ეს „სახელგანთქმული" ნაწილი, ზურგს უმაგრებდა მთავრობას, მაგრამ ეს იყო დღეს ყველასათვის კარგად ცნობილი საზღვარ გარეთ მოხეტიალე მთავრობა.

ჩვენ გვახსოვს საქართველოს ახალგაზრდობის მოღვაწეობა: 1918 წლიდან დაწყებული. ის არა ერთხელ შეიარაღებულა, ვის წინააღმდეგ და ვისთან ერთად?

ამ წელს მან საკმაო მონაწილეობა მიიღო აჯანყებულ გლეხთა სოფლების გაპარტახებაში გერმანელ ჯარების დახმარებით. შემდეგ ჩვენ ვხედავთ ენერგიულ ჩარევას სომეხ-ქართველთა ომში, როდესაც მოსწავლე ახალგაზრდობა — (სტუდენტობა და გიმნაზიელები) მასწავლებელთა შოვინისტური აღტაცებით გაბრუებული, იარაღს იღებს ხელში და ქართველ „ძლევამოსილ" სახალხო გვარდიასთან ერთად ანადგურებს მოსაზღვრე სოფლებს. ამავე წელს ვხედავთ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას სოჭის ფრონტზე წითელი ჯარების წინააღმდეგ.

ეს იყო პირველი დახმარება „დემოკრატიული" რესპუბლიკის, მან კიდევ მეტი „თავდადება" გამოიჩინა „სამშობლოს" დაცვაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს **წმინდათა წმინდა** „განსაკუთრებული რაზმი", ივსებოდა სტუდენტობით.

ქართველი სტუდენტობა, რომელსაც თავი ერის „ინტელიგენციათ" მოაქვს, თავის რიგებში ატარებს საკმაო რიცხვს ისეთი გახრწნილი ელემენტებისას, რომლებმაც სამი წლის განმავლობაში ჯალათის საუკეთესო როლი შეასრულა. მათ ჩაუდგა სათავეში ახალგაზრდა „მარქსისტთა" და მემარჯვენე ფედერალისტთა ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ მოსწავლე ახალგაზრდობა ჩაბან კონტრრევოლიუციონურ მოძრაობაში. მოძრაობის შტაბათ გადაიქცა თბილისის **ქართული უნივერსიტეტი.** სადაც ბ. ბ. ყიასაშვილები, ლომთათიძები, და ასათიანები თავისუფლად გრძნობენ თავს და აწყობენ პროვოკაციულ გამოსვლებს.

ქართული უნივერსიტეტი, ამ ვაჟბატონებმა გადააქციეს იმ ბუდეთ, საიდანაც მათი ხელმძღვანელობით— სტუდენტობის ნაწილი გაიძახის, საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანას, „დელეგაციის" განთავისუფლებას, დამოუკიდებლობის დაცვას და სხვას...

[illegible] მთავრობას არ მისცლია. ამის დამამტკიცებელი ფაქტები რამდენიც გნებავთ არის, ეს კარგად იცოდა იმ ორგანიზაციებმა, რომელიც თავს „მარქსისტთა" და „სოციალ"-ფედერალისტთა ორგანიზაციებს უწოდებენ. უსუსურ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ, რომ ეს იყო პროვოკაცია გაქცეულ მთავრობის მიერ საზღვარგარეთიდან ნაკარნახევი, ქართველ მუშების და გლეხების, მთავრობის წინააღმდეგ ასამხედრებლად. მაგრამ იმათ როგორც ერთგულ დამცველთ, ყოფილი მთავრობის, არ შეეძლოთ მონაწილეობა არ მიეღოთ, ამ არამზადულ განზრახვაში, საქართველოს მუშურ-გლეხური მთავრობა ფართო საშუალებებს აძლევს ახალგაზრდობას შეიძინოს ის ბასრი იარაღი, რომელსაც მეცნიერება ეწოდება, უსირცხვილო ვაჟბატონები, კი ცდილობენ შკოლა კონტრრევოლიუციის ბუდეთ გადააქციონ და მთავრობას მახვილი ჩასცენ.

სტუდენტობის ის პატიოსანი ნაწილი, რომელიც დღემდე ძალიან მცირე რიცხოვანი იყო, დღეიდან გადიდდება. უნივერსიტეტებში—ბურჟუა მემამულეთა შვილების მონოპოლია თანდათანობით გაქრება. ის ახალგაზრდობა, რომელიც წარმოადგენს კომუნისტურ და მემარცხენე ფედერალისტთა ორგანიზაციებს, მთელი თავისი ენერგიით უნდა შეებრძოლოს მათ, უნდა დაინახოს მთელმა მოსწავლე ახალგაზრდობამ ის სიდამპლე, რომელიც ახასიათებს დღეს „მარქსისტთა" და მემარჯვენე ფედერალისტთა ორგანიზაციებს. დეე იცოდეს უპარტიო სტუდენტობამ და ყველა პატიოსანმა მოწაფემ საქართველოში, რომ სტუდენტთა ეს ბანაკი წარმოადგენს კონტრრევოლიუციონერთა ხროვას, რომელსაც დღიურ წესრიგში დასმული აქვს კითხვა: საბჭოთა წყობილების დანგრევისა. საქართველოს გასაბჭოება ერთ-ერთი აქტია განვითარების პროცესში მყოფ სოციალისტურ რევოლიუციისა.

საბჭოთა საქართველოს დამხობა შეუძლებელია სანამ რევოლიუცია ცოცხლობს, უკანასკნელის დამარცხება კი მოასწავებელია მსოფლიო რეაქციის გამარჯვების. ეს კი იქნება აუცილებელი პირობა საქართველოს გაბალშენების, განადგურება მისი დამოუკიდებლობის და კულტურის. ამიტომ ყოველი ქართველი ახალგაზრდა მედგარი დარაჯი უნდა გახდეს საბჭოთა საქართველოსი. მოღალატეთა მოქმედება სამ წელზე მეტია შავს ლაქას ცხებს ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას. ისტორიის ფურცლებში შავი ხაზებით აღინიშნება ამ მოღალატეთა ნაბიჯები. ქართველი რევოლიუციონური ინტელიგენცია აწი აღარ მისცემს ნებას, მოღალატეთა შთამომავლობას, მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით შავი საქმეები აკეთოს.

**მოსკოვის ქართველ სტუდენტთა გამგეობა.**

მოსკოვი 1922 წ.

# ქრონიკა

— გამოვიდა ჟურნალ „მომავალი"-ს № 4—5. შემდეგი № 6—7 გამოვა ივნისში.

— ს. ა. კ. კ. მეორე ყრილობა გაიხსნება თბილისში 5 ივნისს.

— ს. ა. ა. კ. ცეკას გადაწყვეტილებით და თბილისის აღმასკომის დასტურით ალექსანდროვის ბაღს დაერქვა მუშათა ახალგაზრდობის ერთ-ერთი ცნობილი ბელადის ამხ. კარლო ლიბკნეხტის ბაღი. 5 ივნისს, ც. ი. ყრილობის გახსნის დღეს ამავე ბაღში გაიხსნება კარლ ლიბკნეხტის ძეგლი.

ცეკას გადაწყვეტილებით ყრილობისთვის იქნება გამოშვებული ცალკე გაზეთი.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. სულთხელს**—მივიღეთ თქვენი წერილი „ევოლიუცია და რევოლიუცია" დასასრული მიღებულია აგრეთვე სხვა წერილებიც, მხოლოდ ისინი არ გავა ჟურნალში და თუ გაინტერესებთ რისთვის, გვაცნობეთ და წერილობით გიპასუხებთ.

შეგვატყობინეთ თქვენი მომავალი გეგმა ჟურნალში თანამშრომლობის.

— **ოზურგეთში—ამხ. აროშიძეს.** გთხოვთ ნუ დააგვიანებთ წერილის „ევოლიუცია და რევოლიუცია"-ს გაგრძელების გამოგზავნას.

— **გორის, ხენაკის, ფოთის, შორაპნის, ქუთაისის, თიანეთის სამაზრო კომიტეტებს და სამტრედიის რაიკომს** ვთხოვთ, რათა გაგზავნილ ჟურნალ „მომავალი"-ს ანგარიშები ჩამოტანილი იქნეს ყრილობისთვის.

ჟურნალ „მომავალი"-ს რედაქცია.